ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

8 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“+
ეს სამყარო
მტაცებლები
10 ლარი




12 — 13 ოქტომბერი, 2013

№242 (6243)

ფასი: 30 თეთრი



## „შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, რომ რესპუბლიკური პარტია ხელისუფლების სათავეშია“

გვ.5

რატომ გამოაგდო არმაზ ახვლედიანი ასლან აბაშიძემ



## ვანო მერაბიშვილი: „28 ოქტომბერს კრემლი თბილისში არეულობებს დაიწყებს“

გვ.3

„დემოკრატიული მოძრაობა“ ყოფილი შს მინისტრის ფსიქიატრიულ შემოწმებას ითხოვს





## დავით საგანელიძე აგენტობას უარყოფს და სასამართლოში ჩივის

გვ.3

## სინოდის გადაწყვეტილებით 2 მიტროპოლიტი პენსიაზე გავიდა

გვ.3

## ეკა ბესელია: „ციხეებში მონიტორინგი აუცილებელია“

გვ.4



## გელა კვაჭანტირაძე: „ქვეყანაში ექსპერტული დონე მოიკოჭლებს“

გვ.3





## პარლამენტი ბავშვების უფლებების დაცვით დაინტერესდა

გვ.6



## გიორგი მარგველაშვილი: „ინტრიგანი არ ვარ“

გვ.6

ISSN 1987-9385
9 771987 938006

# გელა კვაჭანტირაძე: „ქვეყანაში ექსპერტული დონე მოიკოჭლებს“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ პოლიტიკურ ექსპერტ გელა კვაჭანტირაძესთან

***— სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით თქვენ როგორ ფიქრობთ, უნდა მივიღოთ მონაწილეობა?***

— ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია, ოლიმპიადა მისი ქარტიიდან გამომდინარე ხალხთა შორის მშვიდობას ემსახურება, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა, მას გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც აქვს, მაშინ, როცა რუსეთის ძლიერი პოლიტიკური წნეხის ქვეშ ვიმყოფებით, რუსეთი შეეცდება, რომ ეს ოლიმპიადა და მასში ჩვენი მონაწილეობა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს საერთაშორისო აზრის ფორმირების თვალსაზრისით. საქართველოს შიგნით პოლიტიკური პოზიციები ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ერთიანი არ არის, პრეზიდენტის და მეორე გუნდის „ქართული ოცნების“ პოზიციები განსხვავებულია, ამ ფონზე რუსეთს შეუძლია პროპაგანდა ეფექტურად გამოიყენოს საქართველოს წინააღმდეგ. დღეს ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია, როგორ ჩამოყალიბდება საერთაშორისო აზრი ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით და ამასთანავე სრული ოკუპაციის საშიშროების წინაშე ვდგავართ. პირადად მე მიმაჩნია, რომ რუსეთმა ჩაგვაგდო ორ ცეცხლს შუა თუ უარს ვიტყვით ოლიმპიადაში მონაწილეობაზე, ამით მოხდება რუსეთთან ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება, ეს ისედაც არ შედის ჩვენს ინტერესებში, მეორე მხრივ, არ გვინდა წასვლა ოლიმპიადიზე იმიტომ, რომ ეს იქნება ეროვნული ღირსების შელახვა და რუსეთი შეეცდება დე ფაქტო შეაგუოს საერთაშორისო საზოგადოებრიობა იმ აზრს, რომ თითქოს არსებობენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ასე ხდება საერთაშორისო პრაქტიკაში, რომ დე ფაქტოდ აღიარებული ტერიტორიები შემდეგ გადადის დე იურედ, ამის საფრთხე არსებობს. შესაბამისად ჩვენ პრინციპული პოზიცია უნდა დავიკავოთ, არ მივიღოთ მონაწილეობა ოლიმპიადაში, მაგრამ არ უნდა ვეცადოთ ამ თემით სპეკულირებას არც ქვეყნის შიგნით და არც საერთაშორისი ასპარეზზე, იმიტომ, რომ ამ პროპაგანდისტულ ომს მაინც ვერ მოვიგებთ რუსეთს არა მარტო სამხედრო რესურსები აქვს, არამედ საინფორმაციო რესურსებიც უზარმაზარი აქვს, ერთადერთი გამოსავალია ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეების და მეგობრების მხარდაჭერა, იმ საინფორმაციო ომში, რომელსაც რუსეთი აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ.

***— მესმის, რასაც გულისხმობთ, რომ წყნარად უნდა ვიმოქმედოთ ემოციების გარეშე, მაგრამ არის პოლიტიკოსების ნაწილი საქართველოში, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ნაზი ხმით რუსეთთან ვერაფერს მივაღწევთ და უფრო ხმაურიანები და კატეგორიულები უნდა ვიყოთ.***

— ეს პოზიცია პირველ ყოვლისა, აქვს პრეზიდენტს, რომელსაც სულ ორიოდე კვირა დარჩა, მერე კი გადავირჩევთ, რუსეთთან ურთიერთობის გამწვავების მომხრე სააკაშვილი და მისი გუნდია. ჩვენ ვნახეთ, რომ გამწვავებას კარგი არაფერი მოაქვს და სიმართლის მარცვალიც არის იმაში, რომ თუ არ დავიკავებთ პრინციპულ პოზიციას, შეიძლება დავზარალდეთ. სააკაშვილი ოსტატურად იყენებს ამ ვითარებას, რომ ითამაშოს ხალხის განწყობაზე, ერის თავმოყვარეობაზე, ცდილობს, გაამართლოს ის პოლიტიკა, რომელიც მას ჰქონდა ამ ცხრა წლის განმავლობაში. რიგ შემთხვევებში გამართლებულია კიდეც მწვავე პოზიციის დაჭერა. რუსეთი მრავალი წელია ოსტატურად იყენებს ჩვენს ემოციურობას, რათა შემდეგ მიეღო ის, რაც მას უნდოდა ჩვენგან.

***— ირაკლი კაკაბაძემ განაცხადა, რომ პუტინი და სააკაშვილი ორივე ცდილობს საქართველო საომარ მოქმედებებში ჩაითრიონ. ამაზე რას იტყვით?***

— არ ვიცი, რა თქვა კაკაბაძემ, მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსების და საზოგადოების



ერთი ნაწილი ამ თემის ემოციურ განხილვაშია ჩართული, არადა ეს სერიოზული თემაა და ის, რომ ამ თემით ვიღაცა ცდილობს სპეკულირებას ერთი ან მეორე მხრიდან ეს ჩვენთვის არ არის მისაღები. მიმაჩნია, რომ წვრილმანი ჭორაობაა, რომ ვიღაცას უნდა საქართველო ომში ჩაითრიოს.

***— ახალი პოლიტიკური ცენტრის დაფუძნების დროს ეროვნული მოძრაობის ძალებმა გამოთქვეს ეჭვი, რომ მავთულხლართები ბაქო-ჯეიჰანის მილსადენს უახლოვდება. არის ამის საშიშროება რომ საოკუპაციო ზოლს იქით აღმოჩნდეს ეს მილსადენი?***

— საშიშროება ის არის, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიების 20% და ყველაზე სახიფათო მიმართულებები, სადაც შეიძლება რეალური საშიშროება რუსეთმა შეგვიქმნას, ეს არის მილსადენი და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შემაერთებელი სატრანსპორტო მაგისტრალი, რომელთანაც რუსები საკმაოდ ახლოს არიან, შეიძლება გაგვიწყვიტონ სერიოზული საკომუნიკაციო და ეკონომიკური არტერია. მაგრამ ეს არ არის ისეთი საკითხი, რომელშიც გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს ვიღაც რუსმა გენერალმა, ან სახელმწიფო მოხელემ, ეს არის დიდი პოლიტიკის თემა და არ არის მხოლოდ რუსეთის და საქართველოს დავის საგანი. ეს არის გლობალური პოლიტიკის ნაწილი და აქ ჩვენ მარტო არ ვიქნებით, დარწმუნებული ვარ, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები, დასავლეთის ქვეყნები სერიოზულად ჩაერთვებიან საქმეში და გახსოვთ, ალბათ, თბილისთან მოსული მტერი შეაჩერეს და უკან გააბრუნეს. ეს იყო საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლით. ჩვენი შიდა უთანხმოება და კინკლაობა არ არის საერთაშორისო თანამეგობრობის მთავარი თემა. მილსადენის და ენერგოდერეფნის გადაკეტვა ვერ მოხდება რუსეთის მიერ. სააკაშვილს ერთ კვირაზე მეტი დარჩა პრეზიდენტად ყოფნისა, წასვლის წინ ცდილობს, გაამწვავოს ეს საკითხები, შეაშინოს საქართველოს საზოგადოება და გამოიწვიოს საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთება.

***— გამოითქვა მოსაზრება, რომ ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხელ-ფეხი გაეხსნა პრორუსულ ძალებს სამოქმედოდ, ხაბურძანია, ხაჩიშვილი და ლევან პირველი პრესის ფურცლებიდან გვმოძღვრავენ.***

— საქართველოს ბევრი პრობლემა აქვს და შეიძლება ბევრ რამეში ვუსაყვედუროთ ახალ ხელისუფლებას, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, რომ შედარებით უფრო თავისუფალი გარემო შეიქმნა და წნეხი ჩვენს მოსახლეობაზე არ არსებობს, როცა თავისუფლებაა, საზოგადოებას ვერ ავუკრძალავთ აქტიურობას, ვიღაცას შეიძლება ეს ადამიანები მოსწონს, ვიღაცას არ მოსწონს, მაგრამ ეს ადამიანები აქტიურად არიან პოლიტიკაში. წინა ხელისუფლების დროს ხელოვნურად გაყვეს, საზოგადოებამ, სააკაშვილმა გამოაცხადა, ეს ხალხი კარგია, დანარჩენები არიან ჩარეცხილები, აგენტები და მტრები; ამან სადამდე მიგვიყვანა, დავინახეთ. თუ ეს ხალხი გასცდება კანონიერი მოქმედების ჩარჩოებს და ეროვნულ უსაფრთხოებას შეუქმნიან პრობლემას, ამისთვის გვაქვს შესაბამისი სამსახურები და ამას მიხედავენ, მაგრამ ვიღაცისთვის დაბრალება რომ რუსეთის აგენტია, მიუღებლად მიმაჩნია. მეც, როგორც სხვებს, მაქვს ჩემი პირადი დამოკიდებულება ამა თუ იმ ადამიანის მიმართ, მაგრამ აგენტობას ვერავის დავაბრალებ თუ ამის სამართლებრივი საფუძველი არა მაქვს. არიან პოლიტიკოსები რომლებსაც მიაჩნიათ რომ რუსეთთან მეგობრობით საქართველო უფრო მეტს მოიგებს, მაგრამ როცა რუსეთი ოკუპანტია ეს უწყინარ შეხედულებად არ ჟღერს. მაგრამ ყველას მოღალატეებად და მტრებად ვერ გამოვაცხადებთ.

***— კარგად გავიცანით სააკაშვილის ხელისუფლება, რამდენად იმპულსური იყო, უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევის მოთხოვნა ხომ არ არის გამოწვეული ამ იმპულსურობით, თუ საქმე გვაქვს პიარკამპანიასთან?***

— ეს ის ორგანოა, რომელშიც განიხილავენ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს, ასეა ბევრ ქვეყანაში, ფართო საზოგადოებისგან ბევრი ეს საკითხი დაფარულია, პრეზიდენტი სამ კვირაში წავა პოსტიდან, პროპაგანდისტულ დემარშებს აკეთებს, რომელიც საწინააღმდეგოა ჩვენი სახელმწიფოებრივი პოზიციებისგან, უნდა მოვიწვიოთ უშიშროების საბჭოს სხდომაო, ამბობს მაშინ, როცა უკვე წინასწარ იცის, რომელ მხარეს რა პოზიცია აქვს. სერიოზულ თემად არ მიმაჩნია ასეთი ფორმით უშიშროების საბჭოს შეკრება.

***— ივანიშვილთან ექსპერტების და ჟურნალისტების შეხვედრამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ შეხვედრებს?***

— ექსპერტებს ბევრს პატივს ვცემ, კომპეტენტური ადამიანები არიან, მაგრამ საერთო ჯამში ქვეყნის შიგნით ექსპერტული დონე მოიკოჭლებს, მიუხედავად იმისა, რომ გაბედულებაა საჭირო, რაც ივანიშვილმა გააკეთა, რომ მოიწვია ექსპერტები, ღიად, დაუფარავად იყო გამოთქმული მოსაზრებები, კრიტიკა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა საყვედური, რაც პრემიერმა გამოთქვა, მართებული იყო, მაგრამ საჯარო დისკუსია რომ შედგა, ეს სამომავლოდ სასარგებლო იქნება ორივე მხარისთვის. ექსპერტებიც თავს შეიკავებენ უპასუხისმგებლო შეფასებებისგან და პრემიერიც ანგარიშს გაუწევს სამართლიან შენიშვნებს. ჟურნალისტებთან შეხვედრაც ასევე ჩემი შეფასებით გაბედული ნაბიჯი იყო პრემიერისგან, იდეა მომწონს, ამ შეხვედრებისა, ხშირად ვსაუბრობთ ჟურნალისტების უფლებების დარღვევაზე, მაგრამ მეორე მხრივ, ჟურნალისტების მთელი კასტა იყო შექმნილი წინა ხელისუფლების მიერ, რომელიც ისე უტიფრად მოქმედებდა, რომ მათ ყველა ერიდებოდა. ჟურნალისტებიც არ არიან შეუმცდარნი და ხშირად პოლიტიკურ თამაშებში არიან ჩაბმული. თავისუფალი საზოგადოების განვითარების გზაზე მსგავსი შეხვედრები ძალიან სასარგებლოა, ამას ძლიერი ლიდერები თუ ბედავენ. იმის თქმა, რომ საქართველოში ტირანია მყარდება, უსაფუძვლოა. მით უმეტეს, არ არის ამის საშიშროება იმ ლიდერისგან, რომელიც რამდენიმე კვირაში მიდის ხელისუფლებიდან. დიქტატურის ნიშნებს მე ვერ ვხედავ.

# „საიას მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება“

შორენა გონგლაძე

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 10 ოქტომბერს გაკეთებულ განცხადებას პასუხობს. საია აცხადებს, რომ პოლიციელთა მიერ უფლებამოსილების გადამეტებაზე ისეთი რეაქცია, როგორიც შსს-ს აქვს, ზიანს აყენებს სისტემის იმიჯს. როგორც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასი აცხადებენ, 9 და 10 ოქტომბერს საიას მიერ გაკეთდა განცხადებები მოქალაქეების — დავით კაპანაძისა და ლევან კორკოტაშვილის საქმეზე, სადაც ნათქვამია, რომ დ.კაპანაძე მოინახულა საიას თავმჯდომარემ, ხოლო დუშეთის წინასწარი დაკავების იზოლატორში მოთავსებულ ლ. კორკოტაშვილთან საიას დუშეთის ოფისის ადვოკატი იმყოფებოდა. უშუალოდ ზემოთ მითითებულ მოქალაქეთა მიერ პირადად ჩვენი თანამშრომლებისთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით საიამ ზემოაღნიშნული განცხადებები გააკეთა, სადაც ითქვა, რომ ამ მოქალაქეთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია შეიცავდა პოლიციელთა მხრიდან სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს, რის გამოც პროკურატურას გამოძიება უნდა დაეწყო. ლ. კორკოტაშვილის საქმეზე საიას განცხადების პასუხად 10 ოქტომბერს გავრცელდა შსს-ს ოფიციალური განცხადება, სადაც მიეთითა, რომ საიას მიერ მოწოდებული ინფორმაცია „სიმართლეს არ შეესაბამება. ამავე განცხადებაში ნათქვამია, რომ „კორკოტაშვილს 30 სექტემბერს აქვს გაკეთებული ოპერაცია ქვედა ყბის მოტეხილობის გამო და ჩაყენებული აქვს ყბის სამაგრი. ექიმების განცხადებით, მას შეუძლია ყბის სამაგრის თვითნებურად ამოგდება, ამჟამად ის ჯანმრთელია და მკურნალობას არ საჭიროებს. ამავე განცხადებაში აღინიშნა, რომ „მსგავსი განცხადებები მიმართულია პოლიციის დისკრედიტაციისკენ და სწორედ ცრუ ინფორმაციების გავრცელების შედეგად ხდება პოლიციის იმიჯის შელახვა. გვსურს გამოვეხმაუროთ შსს-ს აღნიშნულ პოზიციას და განვაცხადოთ შემდეგი: 1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია მარტივი წესი, რომელსაც, სამწუხაროდ, სამართალდამცავი ორგანოები, უკვე მერამდენედ, არ იცავენ: პოლიციელთა მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის გამოძიების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს პროკურატურას და არა თავად შსს-ს. სამინისტროს განცხადებაში მითითებულია, რომ საიას მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, თუმცა ჩვენთვის გაუგებარი რჩება, რას ემყარება შსს-ს ეს კატეგორიული დასკვნა. შსს-ს გამოძიების უფლება მსგავსი ტიპის საქმეზე არ აქვს, ხოლო გამოძიების გარეშე ამ ფაქტების დადგენა შეუძლებელია, — ნათქვამია განცხადებაში.




განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ 10 ოქტომბერს საიას განცხადების გავრცელებიდან შსს-ს პასუხამდე სულ რამდენიმე საათი გავიდა და შსს-ს გამოძიების უფლება რომც ჰქონოდა, ამ ფაქტის ასე გადაჭრით, ასეთ მოკლე დროში დადგენა, სამართლებრივად და ფიზიკურად შეუძლებელია. ასევე, სამინისტროს ოფიციალურ განცხადებასა და მინისტრის ოფიციალურ სატელევიზიო კომენტარებში იმის წინასწარ აღნიშვნა, რომ პოლიციელთა ქმედებაში დანაშაულის ნიშნები არ არის, წარმოადგენს ამ საქმეზე გამომძიებლებისათვის გაკეთებულ პირდაპირ გზავნილს იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა წავიდეს გამოძიება. თუ გავითვალისწინებთ იმ რეალობას, რომ მსგავსი ტიპის საქმეებზე არასოდეს ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ რომელიმე გამომძიებელს სამინისტროს ოფიციალური პოზიციისგან გადაეხვიოს, ცხადია, ამ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ალბათობა უკიდურესად მცირდება. დაუშვებელი და მიუღებელია გამოძიების შედეგის წინასწარი განსაზღვრა სამინისტროს ოფიციალური განცხადებებით ან მინისტრის სატელევიზიო კომენტარებით. მსგავსი განცხადებები, არსებული რეალობის გათვალისწინებით, აზრს დაუკარგავს გამოძიებას. უფრო მეტიც, ასეთი განცხადებები თავად ითავსებენ გამოძიების ფუნქციას, რადგან წინასწარ პასუხს სცემენ იმ კითხვებზე, რაზეც პასუხები მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების შემდეგ გამოძიებამ უნდა გასცეს. შსს-ს განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ლევან კორკოტაშვილი წარსულში 6-ჯერ არის ნასამართლევი. თუმცა, ცხადია, ეს გარემოება ვერც პოლიციელთა მხრიდან სავარაუდო ძალადობას გაამართლებს და ვერც რაიმე სახის დანაშაულის მეშვიდედ ჩადენის მტკიცებულებად გამოდგება რამდენჯერაც უნდა იყოს

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით საგანელიძე აგენტობას უარყოფს და სასამართლოში ჩივის

**ბოლო ხანებში ძალიან ბევრს საუბრობენ ჩანერგილებსა და კუდის აგენტებზე. გაზეთმა „ქრონიკა +" კუდის აგენტების სიის გამოქვეყნება დაიწყო. ამ სიაში რამდენიმე მეოცნებე დეპუტატის გვარმაც გაიჟღერა. მათ შორის იყვნენ ირინა იმერლიშვილი და ზაქარია ქუცნაშვილი. არც ერთ მათგანს კომენტარიც კი არ გაუკეთებია.**

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე დღის წინ კი გამოცემამ ახალი სია გამოაქვეყნა. ამ სიაში საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ დავით საგაელიძის გვარიც ფიგურირებდა. კოლეგებისგან განსხვავებით, საგანელიძე ამ ინფორმაციას ხმაურით შეხვდა. მას გამოცემის წინააღმდეგ სარჩელი შეაქვს.



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა „ქრონიკა+"-ის წინააღმდეგ სარჩელის შეტანა აღნიშნულ გამოცანაში დაბეჭდილი მასალის გამო გადაწყვიტა. საგანელიძის თქმით, მასალაში საუბარია, თითქოს ის მეგის ქარდავამ გადაიბირა, რაც ცილისწამებაა. ამასთან, დეპუტატი საჩივრით მიმართავს მთავარ პროკურატურას, რათა დეტალურად იქნეს გამოძიებული, თუ ვის მიერ და რა მიზნით არის შექმნილი აღნიშნული დოკუმენტი.

უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ მთავარ პროკურატურას საჩივრით გუშინ მიმართა. ის გაზეთ „ქრონიკა +-ის" წინააღმდეგ საქმის აღძვრასა და გამოქვეყნებული პუბლიკაციის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს.

— დავით საგანელიძემ მიმართა მთავარ პროკურატურას და ასევე სარჩელით მიმართა საქალაქო სასამართლოს, სამოქალაქო წესით იგი მოითხოვს როგორც მისი პატივის და ღირსების აღდგენას ასევე მოითხოვს, გამოძიებულ იქნეს, ვის მიერ გაყალბდა აღნიშნული დოკუმენტაცია და სთხოვს პროკურატურას, დაიწყონ გამოძიება დოკუმენტის გაყალბებაზე, თუ რომელი ჯგუფია და რატომ არიან დაინტერესებული ადამიანები, კონკრეტულ პირებს შეელახოთ ღირსება, — აცხადებს კოალიცია „ქართული ოცნების" იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსი თედო კობახიძე.

დავით საგანელიძის გადაწყვეტილებას გაგებით ეკიდება გაზეთ „ქრონიკა +"-ის რედაქტორი ელისო კილაძე. ის მზად არის, გამოძიებასთან ითანამშრომლოს. როგორც „პირველს" „ქრონიკა+"-ის რედაქტორმა დავით საგანელიძის განცხადების კომენტირებისას განუცხადა, ის გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით უმრავლესობის ლიდერის პოზიციას მიესალმება, თუმცა მიიჩნევს, რომ ჭეშმარიტების დასადგენად ყოფილი მაღალჩინოსნების დაკითხვაა აუცილებელი. კილაძეს ისიც აინტერესებს, რა მუხლით აღძრავს საქმეს პროკურატურა.

— მივესალმები დავით საგანელიძის პოზიციას გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნულ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად საჭიროა, დააკავონ და საქართველოში ჩამოიყვანონ მეგის ქარდავა, დათა ახალაია და სოსო თოფურიძე, რადგან სწორედ ეს პირები ფიგურირებენ ჩემს ხელთ არსებულ დოკუმენტებში „ქართული ოცნების" პოლიტიკური სახეების გადაბირების პროცესში. რამდენადაც ვიცი, ეს არქივი საქართველოდან გატანილია, მე ხელთ მაქვს ასლები, რომლებიც მომაწოდა ერთ-ერთმა წყარომ, რომლის ვინაობასაც ცხადია, არ გავამჟღავნებ. დედნები ინახება სწორედ იმ პირებთან. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ამ კომპრომატებით ხდებოდა გარკვეული პირების დაშანტაჟება და მათი შედეგია ე.წ. კოჰაბიტაციის რეჟიმი, რომელშიც დღეს ქვეყანა ცხოვრობს, — აცხადებს ელისო კილაძე.

ელისო კილაძე მზადაა, გამოძიების ნებისმიერ კითხვებს გასცეს პასუხი.

— მაინტერესებს, თუ რა მუხლით აღიძვრება საქმე. თუ საქმე აღიძვრება 351-ე მუხლით, რომლის სახელმწიფო საიდუმლო დოკუმენტების გამჟღავნებას გულისხმობს, ეს ნიშნავს, რომ ამ დოკუმენტების ნამდვილობას ავტომატურად აღიარებენ. თუ საქმე აღიძრა დოკუმენტების ფაბრიკაციის მუხლით, მაშინ უნდა დაიკითხონ ის პირები, რომელთა გვარებიც ამ საქმეში ფიგურირებს. სხვა შემთხვევაში პროკურატურა ამ საქმის გამოძიებისას კომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდება. მე, ცხადია, გამოძიებასთან ვითანამშრომლებ და, რა შეკითხვებიც ჩემთან იქნება, ვუპასუხებ, — განაცხადა კილაძემ.

ის საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერსა და მის პიარსამსახურს რჩევებსაც აძლევს.

— ვიცი, რომ ბატონ დავითს დამოუკიდებელი და კერძო პიარჯგუფი ემსახურება და მათ ვურჩევ, უმრავლესობის ლიდერს აუხსნან, ცილისწამების მუხლი სსსკ-დან დიდი ხნის ამოღებულია. ამასთან, ჟურნალისტების შეურაცხყოფა პოლიტიკოსისთვის ცუდი ტონია, — აღნიშნა კილაძემ.

მისივე მტკიცებით, არსებობს ამ სკანდალური ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც.

— მე ხელთ მაქვს როგორც სამხედრო პოლიციის დაზვერვის დეპარტამენტის ცნობა, ისე დავით საგანელიძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი. მივესალმები თავად იმ ფაქტს, რომ მან მოითხოვა გამოძიება. არცთუ ისე დიდია იმ პირთა წრე, რომელთაც ჰქონდათ შეხება ამ დოკუმენტებთან, რომლებიც ყოფილ დაზვერვის დეპარტამენტში მუშაობდნენ პოლიტლიდერების გადაბირებაზე. მე მზად ვარ, გამოძიებასთან სათანამშრომლოდ, ყველა ის ინფორმაცია, რაც მაქვს, გადავცე გამოძიებას. თუ საგანელიძე სასამართლოში უჩივლებს გაზეთს, ცხადია, ამ სასამართლო დავაში მონაწილეობას მივიღებ, — ამბობს გაზეთ „ქრონიკა+"-ის რედაქტორი.

# ვანო მერაბიშვილი: „28 ოქტომბერს კრემლი თბილისში არეულობებს დაიწყებს"

## „დემოკრატიული მოძრაობა" ყოფილი შს მინისტრის ფსიქიატრიულ შემოწმებას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი



ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ აქტუალური გახდა. მართალია, მან წონაში მოიმატა და აღარც ხერხემალი აწუხებს, მაგრამ ნინო ბურჯანაძის პარტია მის საფუძვლიან გამოკვლევას ითხოვს. ვანო, რომ გამოსაკვლევია ამ დასკვნამდე დემმოძი გუშინ მივიდა. გუშინ, თავის მხრივ, პატიმრობაში მყოფმა მერაბიშვილმა სკანდალური ინფორმაცია გამოაქვეყნა. ბოლო ხანებში მისი მუზა აშკარად ნინო ბურჯანაძეა და გუშინაც მას დაუთმო თავისი ძვირფასი დრო და ფეისბუქის გვერდი.

ნამინისტრალი გვაუწყებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თბილისში ნინო ბურჯანაძე და კრემლი არეულობას დაიწყებენ. მერაბიშვილის განცხადებით, ნინო ბურჯანაძის ხელით რუსეთს თბილისში არეულობის მოწყობა აქვს განზრახული.

როგორც სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" მერაბიშვილის გვერდზე გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული პროცესი არჩევნების გაყალბების საბაბით 28 ოქტომბერს დაიწყება.

— ვილნიუსის სამიტის წინ, რუსეთმა უკვე გამოუცხადა სავაჭრო ომი უკრაინასა და მოლდოვას და დაიყოლია სომხეთი საბაჟო კავშირში გაწევრიანებაზე. საქართველოს ჯერი, როგორც ჩანს, 28 ოქტომბერს დადგება, როდესაც არჩევნების მეორე დღეს, გაყალბების საბაბით, ნინო ბურჯანაძის ხელით რუსეთს განზრახული აქვს თბილისში არეულობის მოწყობა, რაც დაახლოებით იქნება 26 მაისის სცენარის გამეორება. ამ მოვლენების გენერალური რეპეტიცია ნინო ბურჯანაძეს დაგეგმილი აქვს 24 ოქტომბერს, — წერს მერაბიშვილი ფეისბუქში.

ნამინისტრალის განმარტებით, კრემლი არ კმაყოფილდება დიცსა და დვანში მავთულხლართების გავლებით და სურს ბარიკადები ამჯერად უკვე რუსთაველის გამზირზე აღმართოს.

— რუსეთის ძალადობრივი პოლიტიკა საქართველოს მიმართ არ იცვლება — მას დაგეგმილი აქვს, შიდა არეულობის მოწყობის გზით შეაფერხოს საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი. მინდა მოვუწოდო ყველას, პირველ რიგში, პოლიციელებს, არავის მისცენ ქვეყანაში არეულობის მოწყობის საშუალება, — აღნიშნავს მერაბიშვილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლო დღეებში მერაბიშვილის მუზა ნინო ბურჯანაძე და მისი პარტიაა. წინა წერილში მოიწერა, მაგის და მაგის ქმრის დაჭერის უფლება გვქონდაო. ახლა კიდევ ახალ არეულობას აანონსებს.

დემოკრატიულ მოძრაობაში მერაბიშვილის ასეთი ყურადღება სათანადოდ დააფასეს. წინა დღეებში „კომპლიმენტებით" აავსეს, გუშინ კი ჯანდაცვის სამინისტროს სთხოვეს, ეგება ეს კაცი კარგად და საფუძვლიანად გამოიკვლიოთო.

—თხოვნით მივმართავთ ჯანდაცვის სამინისტროს, გამოიკვლიოს ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ვინაიდან მისი განცხადებები იძენს არაადეკვატურ ხასიათს. ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს და, „ნაციონალური მოძრაობისგან" განსხვავებით, დღეს პატიმრებიც ისეთივე სრულფასოვანი მოქალაქეები არიან, როგორც თავისუფლებაზე მყოფი პირები, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს" პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ბაკურ ბაკურაძემ.

ბაკურაძის შეფასებით, მერაბიშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, უბრალოდ, ბოდვაა.

— როგორც 26 მაისს შემოდიოდა „გრუ"-ს სპეცნაზი საქართველოში და მერე რუსთაველის პროსპექტს ვეღარ მოაგნო, რადგან თურმე ვანო მერაბიშვილის სპეცდანიშნულების რაზმების შეშინებია, ზუსტად ისე აპირებს ახლა ნინო ბურჯანაძე იმავე სცენარის გამეორებას. ადამიანი ბოდვებშია, გასაგებია — ის ფსიქოლოგიურად სერიოზულ სტრესს განიცდის. მინდა, ვურჩიო მას — შეირგოს ციხეში კარგ პირობებში ყოფნა, რადგან არ აწამებენ, არ აუპატიურებენ და შეეგუოს აზრს, რომ იქ წლების გატარება მოუწევს. რამდენად სარწმუნოა იმ ადამიანის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც ორი მინისტრის სკამს ერთდროულად იკავებდა და ვერ განსაზღვრა ის საფრთხეები, რაც შეიძლებოდა საქართველოს წინასწარ წაგებულ ომში ჩართვით დამართოდა, საქართველოს მოსახლეობისთვის გასაგებია, — აღნიშნა ბაკურაძემ.

მერაბიშვილის უსტარს გუშინვე გამოეხმაურა „კრემლთან ერთად მეომარი" ბურჯანაძე, რომელიც წინასაარჩევნო შეხვედრების გასამართად მერაბიშვილის მშობლიურ მხარეში იმყოფებოდა.

მისი განცხადებით, ის, რომ მერაბიშვილი მსგავსი განცხადებების გაკეთებას ბედავს, „ქართული ოცნების" უსუსურობის ბრალია. ის პირობას დებს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" პოლიტიკურ სამარეში ჩაასვენებს.

— კუზიანს სამარე გაასწორებსო, ნათქვამია და მე აუცილებლად ჩავასვენებ „ნაციონალურ მოძრაობას" პოლიტიკურ სამარეში. ჩადენილი დანაშაულის გამო პასუხი ყველამ უნდა აგოს. ვანო მერაბიშვილს კი ძალიან დიდხანს მოუწევს ციხეში ჯდომა, არა მხოლოდ დასაქმების პროგრამის საკითხზე, არამედ 2011 წლის 26 მაისის დანაშაულის გამო, როდესაც მან ხალხი დახოცა, — განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა.

ნინო ბურჯანაძის თქმითვე, მერაბიშვილის მხრიდან მსგავსი განცხადებები და ქმედებები „ქართული ოცნებისა" და „ნაციონალური მოძრაობის" კოაბიტაციის შედეგია, რომლის დასრულებას „ოცნება" საზოგადოებას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ჰპირდება.

„დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერს „ოცნების" ამ დანაპირების ასრულების არ სჯერა და აცხადებს, რომ გამარჯვების შემდეგ კოაბიტაციას, ის თავად დაასრულებს.

აქამდე საქართველოში ყველა მოსალოდნელ არეულობას ნაციონალები ირაკლი ოქრუაშვილსაც უკავშირებდნენ. ალბათ, გახსოვთ კიდეც, ტყვიაველი ირაკლა „ზილით" რომ აპირებდა ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალებას. საინტერესოა, ახლა რატომ აღარ გაახსენდათ ეს ჯმუხი ბიჭი ნეტავი.

ასევე საინტერესოა, რა „კანალებით" იღებს ციხეში გამომწყვდეული ვანო მერაბიშვილი ასეთ ინფორმაციებს. ადრე რომ ყველას უსმენდა და უჭვრიტინებდა, ვიცით, მაგრამ ამის გაკეთებას სუბარის კანტორიდანაც თუ მოახერხებდა, ვინ იფიქრებდა.

# სინოდის გადაწყვეტილებით 2 მიტროპოლიტი პენსიაზე გავიდა

შორენა მარსაგიშვილი



გუშინ საქართველოს საპატრიარქოში წმინდა სინოდის სხდომა გაიმართა. ამ სხდომას მთელი საქართველო მოუთმენლად ელოდა. გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ 4 მიტროპოლიტი პენსიაზე უნდა გასულიყო. პენსიაზე მხოლოდ 2 გავიდა.

პენსიაზე ფშავ-ხევსურეთისა და თიანეთის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე თადეოზიც გავიდა. ამ ეპარქიას შიო მღვიმის მონასტრის ყოფილი წინამძღოლი მამა მიქაელი უხელმძღვანელებს.

მეუფე თადეოზმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ წმინდა სინოდმა შვიდი ახალი მღვდელმთავარი დაადგინა. მათი კურთხევა სვეტიცხოვლობის შემდეგ სვეტიცხოველში, ყოველ კვირას მოხდება. მეუფის განმარტებით, მღვდელმთავრების კურთხევა სვეტიცხოველში ხდება.

როგორც მეუფე თადეოზმა აღნიშნა, წმინდა სინოდმა პენსიაზე გასვლის შესახებ მისი განაცხადი დააკმაყოფილა. იგი აცხადებს, რომ პენსიაზე მისი გასვლა მისივე ნებით მოხდა.

პენსიაზე ზესტაფონისა და მარგვეთის მიტროპოლიტი მეუფე ვახტან ახვლედიანი გავიდა.

— ძალიან მშვენიერი და საუკეთესო გადაწყვეტილება მიიღო სინოდმა, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ვახტანგ ახვლედიანმა. ამასთან, აღნიშნა, რომ პენსიაზე საკუთარი გადაწყვეტილებით არ წასულა.

როგორც ცნობილია, ვახტანგ ახვლედიანს მრევლის წარმომადგენლები რამდენჯერმე დაუპირისპირდნენ და მას სასულიერო პირისთვის შეუფერებელ ქმედებებში ადანაშაულებდნენ. მას ზაფხულში კარიც კი აუჭედეს.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ მეუფეები თადეოზი და ვახტანგი წოდებებს შეინარჩუნებენ და წმინდა სინოდის წევრებად დარჩებიან.

სინოდის გადაწყვეტილებით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას 7 ახალი მღვდელმთავარი ჰყავს.

2013, 12 — 13 ოქტომბერი, №242

# ეკა ბესელია: „ციხეებში მონიტორინგი აუცილებელია“

ნათია ხურცილავა

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ორგანიზებით, გუშინ მრგვალი მაგიდის ირგვლივ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობაზე მსჯელობდნენ. არასამთავრობო სექტორი ციხეებში სამოქალაქო მონიტორინგის გაზრდის აუცილებლობაზე საუბრობს, თუმცა, რა ფორმით, ვინ უნდა განახორციელოს მონიტორინგი? – ეს ის კითხვებია, რომლებზეც ჯერ პასუხები არ არსებობს.

შეძლო თუ არა არასამთავრობო სექტორმა სასჯელაღსრულების სისტემის ხელმძღვანელების დარწმუნება? არსებობს თუ არა ნება სასჯელაღსრულების სისტემის მხრიდან, რომ მათი საქმიანობა უფრო საჯარო გახდეს?

ეს ის კითხვებია, რომლებზეც ერთგვაროვანი პასუხი ჰქონდა გუშინ ხელისუფლებასაც და სამოქალაქო საზოგადოებასაც, რომ მათ დისკუსია დაიწყეს.

შეხვედრას საპარლამენტო უმრავლესობის წევრი შალვა შავგულიძე, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მიხეილ ღურწკაია და სახალხო დამცველის წარმომადგენელი ესწრებოდნენ.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ დასამალი არაფერი არ გვაქვს და ამ იდეას ბევრი მოწინააღმდეგე არ უნდა ჰყავდეს. თუმცა, გადაწყვეტილების მიღებამდე, როგორც ჩანს, ჯერ შორია.

კახა კოჟორიძე, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე:

– არასამთავრობო სექტორმა მთავრობას შესთავაზა, რომ აუცილებელია სამოქალაქო მონიტორინგის განხორციელება ციხეებში. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ციხეებში მდგომარეობა უარესია, მაგრამ დამატებითი სიფრთხილე, მონიტორინგი უკეთესია და არა უარესი. ყველა თანხმდება იმაზე, რომ იდეა კარგია, თუმცა, როდესაც კონკრეტულ მექანიზმებზეა საუბარი წინააღმდეგობაა, ვინ უნდა გასცეს ნებართვა, პარლამენტმა თუ სხვა უწყებამ. იმედი მაქვს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების ზოგადი წინააღმდეგობა კონკრეტულში არ გადაიზრდება. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რომ ზოგადი საუბრით არ შემოიფარგლონ ხელისუფლების წარმომადგენლები. მეტიც, პარლამენტს უნდა უნდოდეს კიდეც, რომ ამ მექანიზმით განახორციელოს თავისი კონსტიტუციური ფუნქცია და აღმასრულებელი ხელისუფლება გააკონტროლოს, თანაც ეს არანაირ ხარჯს არ გამოიწვევს პარლამენტის მხრიდან.

გიორგი მშვენიერაძე, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წარმომადგენელი, ჩვენს კითხვაზე, – შეძლო თუ არა სამოქალაქო სექტორმა, დაერწმუნებინა ხელისუფლების წარმომადგენლები საზოგადოებრივი მონიტორინგის აუცილებლობაში, ასე პასუხობს:

–დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ მიერ წარდგენილი არგუმენტები, თუ რატომ არის აუცილებელი მონიტორინგი, მყარი იყო. ჩვენ გვინდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ყოველგვარი ნებართვის გარეშე ნებისმიერ დროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შესვლა შეძლონ. თუ ვინ შევა, ეს დადგენილი კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს. ამ მონიტორინგის შედეგად საზოგადოება უფრო ოპერატიულად მიიღებს ინფორმაციას და ძალიან კარგია სამინისტროსთვის, რომელიც დაზღვეული იქნება ვიღაცების მიერ ცრუ ინფორმაციების გავრცელებისგან, მით უფრო მაშინ, როდესაც დღეს სამინისტრო ახალი გამოწვევების წინაშე დგას.



– რა გამოწვევებს გულისხმობთ?

– თუნდაც ქურდულ მენტალიტეტთან ბრძოლას, რომელმაც თავისუფლების ხარისხის გაზრდასთან ერთად უფრო მოიკიდა ფეხი. ამ ახალი გამოწვევების წინააღმდეგ სახელმწიფოს შედარებით მკაცრი ნაბიჯების გადადგმა მოუწევს. ამ ნაბიჯების პარალელურად, აუცილებელია, მკაცრად ხორციელდებოდეს საზოგადოებრივი კონტროლი. აუცილებელია საზოგადოების ნდობით აღჭურვილი მონიტორების შესვლა ციხეებში. თუკი სამინისტრო პატიოსნად მოქმედებს, მას ეს მონიტორინგი ყველაზე მეტად უნდა აწყობდეს.

რაც შეეხება ე.წ. მაყურებლების თემას, გიორგი მშვენიერაძის განცხადებით, ამ შემთხვევაში თავად მენტალობასთან ბრძოლაა საჭირო და ამ მიმართულებით არის გზები მოსაფიქრებელი.

– ეს პრობლემა არის თავად საზოგადოებაში, სოციუმში, რომელიც თვლის, რომ „ქურდული სამყაროს“ წევრობა სწორი ცხოვრების სტილია. როდესაც პატიმარს ამ კუთხით ზღუდავ, ის იწყებს წერას ყველაფერზე, მათ შორის, ისეთ „პრობლემებზე“, რომლებიც არ არსებობს. პირდაპირ ითხოვენ, რომ სჭირდებათ „მაყურებელი“. ამ შემთხვევაში სწორედ რომ მენტალიტეტს უნდა ებრძოლო და გზა სწორედ ამ მიმართულებით უნდა მოიძებნოს, – დასძენს მშვენიერაძე.

ეკა ბესელია მიიჩნევს, რომ საზოგადოების მეტი მანდატი ცუდი არ არის, მეტიც, კარგია. შესაბამისად, ბესელია მონიტორინგის გაზრდის მომხრეა, თუმცა, კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

– იდეა, რომ საზოგადოებრივი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სასჯელაღსრულების სისტემაში, ციხეებში ეს იდეა დღეს არ დაბადებულა. არც გუშინ და არ უკავშირდება დღევანდელ მოვლენებს. ეს იდეა საკმაოდ დიდი ხნის წინ გაჩნდა. გასულ წლებში უფლებადამცველების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ეს იყო, მაგრამ ციხეში შესვლა შეუძლებელი იყო. პრაქტიკულად, სისტემა დახურული იყო. მაშინ არასამთავრობოების ხელისუფლებას არ ესმოდა. როდესაც უფლებადამცველებმა ითხოვეს, რომ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოსთან ერთად ამ საკითხზე დიალოგი შედგეს, შედგა დიალოგი. ჩვენ დავიწყეთ ამ საკითხზე დიალოგი. რა თქმა უნდა, დღეს ციხეებში ვითარება ისეა გამოსწორებული, რომ წინა წლებთან შედარება არ შეიძლება. საზოგადოების მეტი მანდატი არ არის ცუდი, ყოველთვის კარგია, ხელისუფლებაში არავინ ვიქნებით წინააღმდეგი, რომ საზოგადოებას მეტი ინფორმაცია ჰქონდეს. რა ალტერნატიული მექანიზმი შეიძლება არსებობდეს, ვინ შეიძლება განახორციელოს – ეს მსჯელობის საგანია. მონიტორინგის მექანიზმი არსებობს სახალხო დამცველთან. ძალიან კარგია, თუ ეს მანდატი გაფართოვდება. დღეს არაფერი ისეთი არ ხდება ციხეებში, რომელიც სწრაფ რეაგირებას საჭიროებს, განცხადებები, რომლებიც კეთდება, მერწმუნეთ, გადაჭარბებულია. საუბარია იდეაზე. ჩვენ ყოველთვის ვიქნებით მომხრე მეტი საჯაროობის, მით უფრო, როდესაც დასამალი არაფერი გაქვს, არა მგონია, რომ ამ იდეას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდეს. მოგვიანებითაც დავუბრუნდებით ამ საკითხს და კონსენსუსამდე მივალთ, – განაცხადა ბესელიამ.

ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს ეკა ბესელიას №2 საპატიმროში გარდაცვლილი 16 წლის გოგა ძველაიას საქმესთან დაკავშირებით მთავარი კითხვები მისი საქმის განმხილველ მოსამართლესთან აქვს.

– დაველოდოთ ექსპერტიზის დასკვნას. ექსპერტიზა მთავარ კითხვაზე პასუხს გასცემს. საკანიც მოვინახულე, ოჯახშიც ვიყავი, ვესაუბრე ოჯახს. საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია მაქვს, არ მაქვს არანაირი საფუძველი, რომ მკვლელობაზე ვიფიქრო. ოჯახთან მუდმივი კონტაქტი მექნება, რომ ყველა კითხვას პასუხი გაეცეს. გამოძიება მიმდინარეობს. არავინ არაფერს დამალავს.

– მოსამართლის გადაწყვეტილებაზე რას იტყვით?

– მოსამართლის საქმიანობაში ჩვენ არ ვერევით, მაგრამ მე მნიშვნელოვან მორალურ მხარეზე ვამახვილებ ყურადღებას, როდესაც 16 წლის მოზარდს უშვებ ციხეში და საპატიმრო რეჟიმს უწესებ, რით იყო განპირობებული ის აუცილებლობა, რომ მოზარდი გირაოს თანხის გადახდამდე პატიმრობაში დატოვა? გამოიკვლია თუ არა მოსამართლემ ის გარემოებები, რომლებიც მსგავსი საქმის განხილვისას აუცილებელია? იყო თუ არა მოსამართლისთვის ყველა გარემოება ცნობილი, რომლებიც მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, როდესაც ამ გადაწყვეტილებას იღებდა. კანონში სპეციალური მოთხოვნაა ჩადებული, რომ არასრულწლოვანის საქმის განმხილველ მოსამართლეს სპეციალური კურსები ჰქონდეს გავლილი ამ მიმართულებით. ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო სიღრმისეულად უნდა მიუდგე პიროვნებას. მან აგვისტოში დატოვა საპატიმრო და გათავისუფლებამდე ციხეში მომხდარი კონფლიქტის დროს ხელზე მიღებული დაზიანების კვალი ჯერ კიდევ ეტყობოდა. ყველა ეს გარემოება სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებდა. გარდა ამისა, გირაოს სახით გადასახდელი იყო 5000 ლარი და ასევე განხილვის საგანია, რამდენად მართებულია, ამხელა თანხა დააკისრო ოჯახს, რომელსაც უჭირს, – განაცხადა ბესელიამ.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ის სოციალურ მუშაკს ესაუბრა და მისგან ინფორმაცია მიიღო.

–მე ვესაუბრე სოციალურ მუშაკს, რომელიც მასთან რამდენჯერმე იმყოფებოდა. როგორც ამ გოგონამ განმარტა, მოზარდი ითხოვდა თავის ოჯახთან დაკავშირებას, რადგან აინტერესებდა, როდის გადაიხდიდნენ გირაოს. საპატიმროდან კი მთელი დღის განმავლობაში ცდილობდნენ მის ოჯახთან დაკავშირებას და სოციალური მუშაკი ამ ინფორმაციას აწვდიდა მათ. მოზარდს არ ეტყობოდა აღელვების ან აღგზნების განსაკუთრებული ნიშნები, რაც შესაძლო თვითმკვლელობის ეჭვს გაუჩენდა მათ. საპატიმროში არასრულწლოვანთა განყოფილების ხელმძღვანელი იმყოფებოდა, სხვასთან კი პატიმარს კონტაქტი არ ჰქონია, რადგან ციხეში შესვლისთანავე მოითხოვა განმარტოება. დერეფანში არის ვიდეოთვალთვალის მოწყობილობა და მე ვთხოვ გამომძიებელს, აჩვენოს ოჯახს ეს ჩანაწერი, რათა დარწმუნდნენ, ვინ და რამდენჯერ იმყოფებოდა მასთან საკანში, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

– „რატომ ადრე არ იყავით ასეთი აქტიურები?! რით არის განპირობებული ასეთი ერთსულოვნება?! რა ხდება დღეს ციხეში ასეთი?! არ მახსენდება თქვენი მსგავსი ერთსულოვნება მაშინ, როდესაც სამინისტროსადმი ცილისმწამებლური განცხადებები კეთდებოდა, რაც უწყების დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად! ახლა აქტუალური თემაა კრიმინალური ავტორიტეტები. კრიმინალური ავტორიტეტები ყოველთვის ისხდნენ ციხეში და მომავალშიც იქნებიან, თუმცა, საუბარია იმაზე, შედის თუ არა გარიგებაში მათთან ადმინისტრაცია. დღეს ადმინისტრაცია აკონტროლებს ციხეს და არა პირიქით. სადღეისოდ გაიზარდა საჩივრები და ეს არა იმიტომ, რომ პრობლემებმა იმატა, არამედ იმიტომ, რომ თითოეულ საჩივარზე რეაგირება ხდება, – მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს თალაკვაძემ.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მიხეილ ღურწკაია კი აცხადებს, რომ მონიტორინგის წინააღმდეგი არავინ არის, თუმცა ეს მსჯელობის საგანია.

# თეა წულუკიანი: „ყველას მოვუწოდებ, კონკურენტი პარტიების შეხვედრებზე მისვლა არ შეიძლება!“

ნათია ხურცილავა

იუსტიციის სახლში გუშინ უწყებათაშორისი კომისიის სხდომა გაიმართა. დახურულ კარს მიღმა ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა წინასაარჩევნო გარემოზე იმსჯელეს.

იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, რომელიც უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეა, აცხადებს, რომ პარტია „თავისუფალი საქართველოსა“ და კოალიციაში შემავალი პარტიების წარმომადგენლების მხრიდან ადგილი აქვს კონკურენტების პლაკატების ჩამოხევას.



– შემაშფოთებელი ტენდენცია შეინიშნება სხვადასხვა პარტიების მხრიდან, მათ შორის, საუბარია, „თავისუფალ საქართველოსა“ და კოალიციაში შემავალ პარტიებზე. ამ პარტიების წარმომადგენლები კონკურენტი პარტიების პლაკატებს ხევენ. მინდა, ყველას მოვუწოდო: რამდენადაც არ უნდა მოგწონდეთ სხვა პარტიის კანდიდატი, მისი პლაკატის და სააგიტაციო მასალის განადგურება არ შეიძლება და ამაზე სამართალდამცველები შესაბამის რეაგირებას მოახდენენ. – განაცხადა წულუკიანმა.

მისივე თქმით, ცაგერში მოხდა შემთხვევა, როცა საკრებულოს წევრი, ვინმე მეტრეველი მივიდა დავით ბაქრაძის ამომრჩეველთან და მათი მასთან პოლემიკაში ჩათრევა სცადა, თუმცა ეს ფაქტი აღიკვეთა.

– ყველას მოვუწოდებ, კონკურენტი პარტიების კანდიდატების შეხვედრებზე მისვლა არ შეიძლება და ასევე არ შეიძლება პლაკატების ჩამოხევა. ეს აფუჭებს საარჩევნო გარემოს და ეს ორი შემთხვევა მკაცრი გაფრთხილების საგანია. – განაცხადა მინისტრმა.

თეა წულუკიანი „ნაციონალურ მოძრაობას“ მოუწოდებს, პრობლემის შემთხვევაში მთავრობას მიმართოს და არა გარეშე პირებს.

როგორც იუსტიციის მინისტრმა უწყებათაშორისი კომისიის დასრულების შემდეგ განაცხადა, „ნაციონალური მოძრაობა“ საბოტაჟის რეჟიმში მუშაობას აგრძელებს.

წულუკიანმა საპარლამენტო უმცირესობის წევრის თინათინ ბოკუჩავას ბრალდებასაც უპასუხა იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიის თავმჯდომარემ მას მატყუარა უწოდა.

– სამწუხარო ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, განსხვავებით ყველა სხვა პარტიისგან, ეს იქნება მმართველი გუნდი თუ რომელიმე სხვა პარტია, საბოტაჟის რეჟიმში მუშაობას აგრძელებს, თუმცა ფასადურად იძახის, რომ ესწრება სხდომებს, თანამშრომლობს და ასე შემდეგ. რაც შეეხება დღევანდელ ინციდენტს: „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობის შესახებ, მათ ინფორმაცია ღამის საათებში მოგვაწოდეს, თუმცა ეს არ არის პრობლემა, შსსმ დროულად მიიღო ზომები, რათა სპორტის სასახლეში ყრილობა ინციდენტების გარეშე ჩატარებულიყო, მაგრამ მოხდა უსიამოვნო ფაქტი, როცა „ნაციონალური მოძრაობა“ ღამის საათებში დაუკავშირდა ერთ-ერთ საერთაშორისო წარმომადგენლობას საქართველოში და მასთან ატეხა წუწუნი. საერთაშორისო ორგანიზაციამ მოგვაწოდა ინფორმაცია, მყისიერი რეაქცია მოხდა და ის სატრანსპორტო კომპანია, რომელსაც ვითომ პრობლემა ჰქონდა, მოვიწვიეთ, მან კი თქვა, რომ არავითარი პრობლემა არ ჰქონია. მოვუწოდებ „ნაციონალურ მოძრაობას“, გაითავისოს, რომ ეს არის სახელმწიფო, მას მართავს მთავრობა, რომელიც წინა წელს ხალხმა აირჩია და პრობლემის შემთხვევაში, პირდაპირ მთავრობას უნდა მიმართონ და არა გარეშე პირს. თინა ბოკუჩავამ ამ ფაქტის გადაფარვა სცადა და განაცხადა სიცრუე, თითქოს პირად ნომერზე მირეკავდა. მე პირად ნომერს კომისიისთვის არ ვამუშავებ. ეს არის სახელმწიფო უწყება და მას აქვს ცხელი ხაზი. – განაცხადა წულუკიანმა.

თინა ბოკუჩავას მტკიცებით, თეა წულუკიანმა მას მატყუარა უწოდა, როგორც საპარლამენტო უმცირესობის წევრმა უწყებათაშორისი კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, კომისიის თავმჯდომარის გაღიზიანება იმან გამოიწვია, რომ მან ძალადობის ფაქტების შესახებ გადამოწმებული ინფორმაცია მიაწოდა.

ბოკუჩავა აცხადებს, რომ კომისია ცალსახად მიკერძოებული ორგანოა.

– თეა ყველა იმ ადამიანს, რომელიც მიაწოდებს მისთვის მიუღებელ ფაქტებს და ძალადობაზე მიანიშნებს, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ხდება, მატყუარას უწოდებს. დღეს მე და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს მატყუარა გვიწოდა. შემაშფოთებელია, რომ ერთადერთი დაცვის მექანიზმი მისთვის არის ის, რომ ადამიანებს მატყუარა უწოდოს. მეორე, დღევანდელ სხდომაზე მან აღიარა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ განადგურება მისი ცხოვრების ამოსავალი წერტილია და რომ მან ეს უკვე მოახერხა. ამ კომისიის განხილვა, მიუკერძოებელ ორგანოდ შეუძლებელია. ეს არის ცალსახად მიკერძოებული ერთეული, რომლის თავმჯდომარე აღიარებს, რომ მისი მთავარი ამოცანა ოპონენტის ძალის განადგურებაა. – განაცხადა ბოკუჩავამ.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელი ლევან ვეფხვაძე კი აცხადებს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საბიუჯეტო სახსრები გადაინაწილეს და პროცესებზე გავლენას ახდენენ.

ვეფხვაძის თქმით, დღევანდელ სხდომაზე სწორედ, წინასაარჩევნოდ დაფიქსირებულ დარღვევებზე იქნება საუბარი.

– სამწუხაროდ, ბევრი პრობლემაა რეგიონებში, სოფლის რწმუნებულებითა და გამგებლებით დაწყებული, რომლებიც კარდაკარ დადიან და „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ეწევიან აგიტაციას და დამთავრებული პედაგოგებით, რომლებიც ავტობუსებით დაჰყავთ მარგველაშვილთან შეხვედრებზე. ახლა უგულავამ გადაწყვიტა რაღაც პროდუქტების შეძენა, ამისთვის ბიუჯეტიდან თანხები უნდა გამოიყოს და ესეც „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ იქნება გამოყენებული. ამ ორმა პარტიამ საბიუჯეტო სახსრები გადაინაწილა და ამგვარად, პოცესებზე გავლენას ახდენენ. – განაცხადა ვეფხვაძემ.

## „საიას მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

პირი ნასამართლევი, მას უნდა მიეცეს ჩვეულებრივი, მშვიდი ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობა, ხოლო თუ ის ამ შანსს არ იყენებს, მის მიმართ გამოძიება კანონით დადგენილი წესით უნდა წარიმართოს და ამ წესისგან გადახვევის გამართლებად წარსული ნასამართლობები, მათი რაოდენობების მიუხედავად, ვერ გამოდგება. იმედი გვაქვს, ეს მარტივი ჭეშმარიტება საკამათო არ გახდება. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ლ. კორკოტაშვილს გაკეთებული აქვს ოპერაცია ქვედა ყბაზე და „შეუძლია ყბის სამაგრის თვითნებურად ამოგდება. სადავო არ არის, რომ კორკოტაშვილს ყბის ოპერაცია გაკეთებული აქვს და ალბათ, ყბის სამაგრის თვითნებური ამოგდებაც ზოგადად შესაძლებელია, მაგრამ გაუგებარია, ეს შესაძლებლობა რატომ გამორიცხავს იმას, რასაც ლ. კორკოტაშვილი საიას ადვოკატს მოუყვა, რომ ნაოპერაციები ყბა პოლიციელებმა ფიზიკური ზემოქმედების შედეგად დაუზიანეს? თუ შსს-ს პოზიცია არის ის, რომ თვითდაზიანების შესაძლებლობა პოლიციელთა მხრიდან დაზიანების ალბათობას გამორიცხავს, მაშინ ადვილი იქნება ნებისმიერი მოქალაქის დაზიანება თვითდაზიანებას მიეწეროს. თეორიულად არც ის არის გამორიცხული, რომ მაგალითად, მოქალაქე დ. კაპანაძემაც თავად დაიზიანა გულმკერდი და სამი ნეკნიც თავად მოიტეხა, მაგრამ პრაქტიკულად სხვა სახის რეალობის ბევრად უფრო მაღალი ალბათობა არსებობს. —

ნათქვამია განცხადებაში.

როგორც საიაში აცხადებენ, სინამდვილეში რა მოხდა, ამას პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს, თუმცა, ფაქტია, რომ შსს ამ გამოძიებას არ ელოდება. ასევე უცნაურია სამინისტროს განცხადება იმის შესახებ, რომ ლ. კორკოტაშვილი ამჟამად ჯანმრთელია და „მკურნალობას არ საჭიროებს. მას ნაოპერაციები ყბიდან ამოუვარდა რკინის ფირფიტები, რის გამოც, როგორც თავად აცხადებს, ვერ ჭამს საჭმელს, აწუხებს ძლიერი ტკივილები, უკეთებენ გამაყუჩებლებს. ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის მკურნალობის საჭიროების გამორიცხვა, ცოტა გაუგებარია. რაც შეეხება შსს-ს განცხადების იმ ნაწილს, სადაც მითითებულია, რომ „მსგავსი განცხადებები მიმართულია პოლიციის დისკრედიტაციისკენ და სწორედ ცრუ ინფორმაციების გავრცელების შედეგად ხდება პოლიციის იმიჯის შელახვა. ჩვენთვის ძალიან სამწუხაროა ასეთი მძიმე ბრალდების მოსმენა. ეს არის ტიპური ფრაზა, რასაც საია წლების განმავლობაში სამართალდამცავი ორგანოების მწვავე კრიტიკის პასუხად იღებდა ხოლმე. ჩვენ ვთქვით მხოლოდ ის, რაც უშუალოდ დაზარალებულებმა პირადად საიას თანამშრომლებს განუცხადეს. არც ბოლო ორ და არც ადრინდელ განცხადებებში არსად წერია, რომ პოლიციელებმა ეს დანაშაული ნამდვილად ჩაიდინეს. ჩვენი განცხადებების მთავარი მესიჯი არის და იყო მხოლოდ ის, რომ მოქალაქეთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და რომ პროკურატურა ვალდებულია, დაიწყოს გამოძიება. სამწუხაროა, თუ უფლებადამცველი ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობა პოლიციის დისკრედიტაციად და იმიჯის შელახვად აღიქმება. ეს არასამთავრობო ორგანიზაციის ფუნქციისა და დანიშნულების არასწორი აღქმაა. ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც ათასობით ადამიანი მუშაობს, ადვილია რეფორმებისა და ცვლილებების განხორციელება. ისიც გასაგებია, რომ ვერ შევქმნით ისეთ სისტემას, სადაც პოლიციელთა მხრიდან მოქალაქეებზე რაიმე სახის ძალადობის ალბათობა სრულიად გამოირიცხება. მთავარია, რა პასუხი გაეცემა ასეთ ფაქტებს, რამდენად ეფექტურად და ობიექტურად წარიმართება გამოძიება. გამოძიების სათანადოდ წარმართვა არის არასასურველი ფაქტების გამეორების პრევენციის ყველაზე ეფექტური მექანიზმი, რომლის გამოყენების ნებაც, როგორც ჩანს, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს. სისტემის იმიჯს კი ისეთ დიდ ზიანს ვერაფერი მიაყენებს, როგორც მსგავსი ტიპის ფაქტებზე მსგავსი რეაგირების მოხდენაა,'– აღნიშნულია განცხადებაში.

# „შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, რომ რესპუბლიკური პარტია ხელისუფლების სათავეშია“

## რატომ გამოაგდო არმაზ ახვლედიანი ასლან აბაშიძემ

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ სანდრო ბრეგაძესთან

***— ბატონო სანდრო, დიდი დრო აღარ რჩება არჩევნებამდე. ამბობენ, რომ პრემიერის წასვლის შემდეგ კოალიცია ოცნება ერთიანობას ველარ შეინარჩუნებს და დაიშლება. თქვენ რას ფიქრობთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და როგორ აფასებთ ამჟამინდელ პოლიტიკურ ვითარებას?***

— უმრავლესობის დაშლას რაც შეეხება, სხვათა შორის, ივანიშვილსაც ბევრჯერ აქვს გაცხადებული, რომ მისი წასვლის შემდეგ რამდენიმე სუბიექტმა დატოვოს კოალიცია. თუმცა ამ პარტიებს დამოუკიდებლად რაიმე წარმატების მიღწევა ძალიან გაუჭირდებათ. მე ამ შემთხვევაში აპელირებას გავაკეთებ რესპუბლიკურ პარტიაზე, რესპუბლიკური პარტია ივანიშვილის გარეშე ნულია, ხოლო ივანიშვილთან ერთად დღეს რესპუბლიკური პარტია საქართველოს მმართველ ძალად მოგვევლინა. რაც არის პირველ რიგში სამწუხარო და მეორე მხრივ, პირადად მე ძალიან შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს იმის გამო, რომ ასეთი არაპატრიოტული ძალა, როგორიც რესპუბლიკური პარტიაა, დღეს ხელისუფლების სათავეში იმყოფება, თან ისე, რომ მისთვის ხმა არავის მიუცია. კოალიციაში არის ბევრად უფრო რეიტინგული პარტია, მაგალითად, ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდი. დღეს ისინი ბევრად რეიტინგულები არიან, ვიდრე რესპუბლიკელები. ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, რა თქმა უნდა, კოალიციის დაშლა, ეს იქნება ერთ კვირაში, ერთ თვეში, თუ ორ თვეში, გარდაუვალია. სხვათა შორის, ეს ასეც უნდა მოხდეს, იმიტომ რომ „ქართული ოცნების“ კოალიცია, ჩემდა სამწუხაროდ, არ შედგება ისეთი პოლიტიკური ძალებისგან, ისეთი პიროვნებებისგან, რომელზეც შეიძლება მომავალი საქართველო დაეყრდნოს. „ქართული ოცნების“ კოალიცია მინუს ივანიშვილი უდრის ნულს. მის გარეშე კოალიციის მომავალს ვერ ვხედავ. ვერც იმ პოლიტიკური ლიდერებით, რომლებიც თვითონ „ქართული ოცნების“ პარტიაში არიან თავმოყრილნი და, ჩემდა სამწუხაროდ, ბევრმა მათგანმა საბოლოოდ მოიჭრეს თავი და ათასგვარ ეპითეტს იმსახურებენ ისინი.

***— რადგან თავის მოჭრაზე მიდგა საქმე, აქვე დავით საგანელიძის აგენტობაზეც გკითხავთ. რამდენად გჯერათ თქვენ ამ ინფორმაციების?***

— მე არ მინდა, ეს დავიჯერო. თუმცა ერთია, რომ არ გინდა ამის დაჯერება და მეორეა ეს ფაქტები. ჩემთვის ცოტა გამაოგნებელია აგენტობის დამადასტურებელი ეს დოკუმენტები. როგორც ამის გამომქვეყნებლები აცხადებენ, ამ მასალებს ექსპერტიზა გავლილი აქვთ. ორი და სამი დღე ხომ არ გასულა, უკვე თვეზე მეტია, რაც ეს ქვეყნდება და დღემდე შესაბამისი რეაქცია არც ერთი იმ პირისგან, ვისზეც მაკომპრომეტირებელი მასალაა გამოქვეყნებული არ არსებობს. ღმერთმა დაგვიფაროს და ან ჩემზე, ან თქვენზე რომ მსგავსი დოკუმენტები გამოაქვეყნონ, რომ ჩვენ რომელიმე აგენტურული ქსელის წარმომადგენლები ვართ, რა თქმა უნდა, პირველი რეაქცია იქნება ის, რომ სასამართლოში ვუჩივლებთ და პასუხს მოვთხოვთ ამის გამო. როგორც ჩვენ ვხედავთ არავინ არ ჩივის, არავინ არანაირ განმარტებებს არ აკეთებს. იმასაც არ თვლიან საჭიროდ, რომ ხალხის წინაშე გამოვიდნენ და თავი იმართლონ. ელემენტარულად, თქვან, რომ ეს არ შეეფერება სინამდვილეს. აქედან გამომდინარე, საზოგადოებაში ყალიბდება ეჭვები, რატომ აქვთ ამ ადამიანებს პირში წყალი ჩაგუბებული. როდესაც ეს ეჭვი არის, მაშინ სხვა ეჭვებიც იბადება. ამიტომ მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რატომ არ



მოჰყვა ამ ყველაფერს რეაგირება? აქეთ გაზეთის რედაქტორი და ჟურნალისტები ითხოვენ პროკურატურისგან, რომ ამ მასალების მიხედვით საქმე აღიძრას. ეს რომ ნებისმიერ ქვეყანაში მომხდარიყო, აუცილებლად მოჰყვებოდა რეაქცია ხელისუფლების მხრიდან, ან ეს აგენტები დაისჯებოდნენ და ან ისინი, ვინც ეს დოკუმენტები გამოაქვეყნა. ჩვენთან კი არავის რეაქცია არა აქვს, ვითომ არაფერი ხდება. რაც შეეხება საგანელიძეს, მისი დესტრუქციული როლი ძალიან დიდია „ქართულ ოცნებაში“. მე დათოს ძალიან დიდი ხანია ვიცნობ და ასეთ დათო საგანელიძეს არ ვიცნობდი. მე სულ სხვა ადამიანთან მქონდა ურთიერთობა და თურმე ეს ადამიანი იყო აბსოლუტურად სხვა. დღეს მისი სახით მივიღეთ რაღაცა მონსტრი ადამიანი, რომელიც ყველაფერს აფუჭებს, ყველაფერს შლის. ადამიანებს აგენტებს ეძახის, როდესაც მასზე არსებობს ასეთი დოკუმენტები და ამაზე ხმას არ იღებს. აქ მარტო საგანელიძეზე არ არის საუბარი, უბრალოდ, მისგან მიკვირს, რადგან საკმაოდ კარგად ვიცნობდი. არმაზ ახვლედიანი რომ არაფერი კარგის გამკეთებელი არ იყო, ეს მე თავიდანვე ვიცოდი. ჯერ მისი ბიოგრაფიისთვის გადაეხედათ. პირდაპირ გეტყვით, იცით, რატომ წამოვიდა არმაზ ახვლედიანი ასლან აბაშიძისგან?

***— რატომ?***

— ასლანმა ის გამოაგდო. მამამისი, აზიზ ახვლედიანი, გახლდათ ბათუმის უნივერსიტეტის რექტორი, როდესაც არმაზ ახვლედიანი ასლან აბაშიძემ თავისი თანაშემწეობიდან აქცია „აღორძინების“ ერთ-ერთ ლიდერად. მამამისს, აზიზ ახვლედიანს, ჩამოყვანილი ჰყავდა თურქი პროფესორი, რომელსაც აკითხებდა ლექციებს და ერთი კვირის შემდგომ აბაშიძეს მიუტანეს ამბავი იმის თაობაზე, რომ აზიზ ახვლედიანი და ის თურქი მეცნიერი ერთობლივად ატარებენ ლექციებს, სადაც სტუდენტებს უმტკიცებენ, რომ აჭარა არის თურქეთის ძირძველი ტერიტორია. შემდგომში ეს ინფორმაცია იქნა გადამოწმებული, დადასტურდა, რომ ინფორმაცია სინამდვილეს შეეფერებოდა. სწორედ ამის შემდეგ მოხდა, რომ აბაშიძემ გააგდო არმაზ ახვლედიანი „აღორძინებიდან“ და მამამისი მოხსნა რექტორის თანამდებობიდან. აი, ასე იყო ეს ყველაფერი. როდესაც ასეთი ბიოგრაფიის მქონე ადამიანი მოგყავს და პარტიის გენერალურ მდივნად ნიშნავ, თავიდანვე უნდა იცოდე, რომ არანაირი პოლიტიკური მომავალი იმ პარტიას თუ მოძრაობას არ ექნება და შენც ელემენტარულად ჩირქი მოგეცხობა. ადამიანი, რომლის ოჯახის წევრებიც ამტკიცებენ, რომ აჭარა არის თურქეთის ტერიტორია და ამის დასამტკიცებლად მეცნიერები ჩამოჰყავს სტამბოლიდან, ასეთი კაცი როგორ უნდა გყავდეს პარტიის ლიდერად? აქ არის უსერიოზულესი საკადრო შეცდომები დაშვებული...

***— ბატონო სანდრო, რატომ იღებს ასეთ გადაწყვეტილებებს ივანიშვილი, რატომ აჩერებს არჩევანს ასეთ ოდიოზურ ფიგურებზე? არა აქვს ინფორმაციები და სხვის რჩევას ითვალისწინებს თუ რა ხდება?***

— შესაძლოა, იმიტომ იღებს მსგავს გადაწყვეტილებებს, რომ ასეთი ტიპის ადამიანები უფრო ადვილი დასამორჩილებლები არიან. მე მინახავს, მაგალითად, არმაზ ახვლედიანისა და გიორგი თარგამაძის მონური დამოკიდებულება ასლან აბაშიძესთან. სხვათა შორის, ცხონებულმა ვახტანგ ბოჭორიშვილმა და მუხრან მაჭავარიანმა რამდენჯერმე აღნიშნეს კიდეც, ესენი ის პიროვნებები არიან, რომლებიც აჭარაში სიტუაციას ღუპავენო. ესენი ადვილად დასამორჩილებელი ადამიანები არიან. თქვენ უნდა გენახათ ისინი, თუ როგორ მუხლებზე მოდრეკილები იდგნენ ასლან აბაშიძის წინაშე და მის ნება-სურვილს ასრულებდნენ. მეც ვიყავი „აღორძინებაში“, მართალია, მე ვიყავი ზვიადისტური ფრთის წარმომადგენელი, მაგრამ მიწევდა ბათუმში სიარული. თუმცა ერთი ადამიანიც არ არსებობს, რომელიც იტყვის, რომ მე რაიმე მონური მორჩილება მქონდა აბაშიძის მიმართ. პირიქით, ჩემი პრობლემა ყოველთვის ის იყო, რომ მე რაც სწორად მიმაჩნდა, იმას ყოველთვის ღიად ვაცხადებდი. ეს ადამიანები კი ასლანის მზეს ფიცულობდნენ. ასეთ ადამიანებს არავისთვის წარმატება არ მოუტანია და, არა მგონია, „ქართულ ოცნებას“ მოუტანონ წარმატება. ეს ინფორმაცია აქამდე არსად მომიყოლია, მე ახვლედიანზე ჩაციკლული კი არა ვარ. უამრავი სხვა მაგალითი შემიძლია მოგიყვანოთ. სამეგრელოში მხედრიონელები ჰყავთ დანიშნული ხელმძღვანელებად და შტაბის უფროსებად. მხედრიონელები, ის ადამიანები, რომლებიც სამეგრელოს არბევდნენ, წვავდნენ სახლებს და აყაჩაღებდნენ მოსახლეობას. მე დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილმა ნამდვილად არ იცის, ვინ იყვნენ სამეგრელოში ის მხედრიონელები, რომლებიც მოსახლეობას აწიოკებდნენ და რომლებიც დღეს არიან თავმოყრილი „ქართული ოცნების“ რიგებში. არ იცის, მაგრამ ის ადამიანები, რომლებმაც ეს უნდა გაარკვიონ, რატომ არ არკვევენ ამას და რატომ არ ეუბნებიან ამის თაობაზე ბიძინა ივანიშვილს?! იმიტომ, რომ შეთქმულებას აქვს ადგილი. მე რამდენადაც ვიცი, ნაციონალურ მოძრაობას ძალიან ბევრი აგენტი ჰყავდა და ჰყავს შეგზავნილი ოცნებაში, რომლებიც დაკავშირებული იყო სოდთან და კუდთან და დღესაც ნაციონალებზე მუშაობენ.

***— ეს ყველაფერი ამიტომ ხდება?***

— რასაკვირველია. მთელმა თბილისმა იცის, რომ არსებობს გარკვეული მაკომპრომეტირებელი მასალები, რომელიც მეგის ქარდავასა და მასტერას აქვთ გაკეთებული და რომლითაც აშანტაჟებს „ქათული ოცნების“ ზოგიერთ ლიდერს ამ კასეტებით. შე კაი ადამიანო, ან აიტანე ეს მაკომპრომეტირებელი კასეტა, ან ადექი და თქვი, რომ მიდიხარ პოლიტიკიდან და ამით უხერხულ მდგომარეობაში ნუ აყენებ ნურც შენს გუნდს და ნურც იმ მოსახლეობას, რომელმაც შენ ხმა მოგცა. ეს ყველაფერი ჩვენ ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს.

***— რაც შეეხება შედეგებს, რას ელოდებით საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ? როგორ ფიქრობთ, მართლაც გავა ბაქრაძე მეორე ადგილზე და რამდენად მიიღებს ამას ქართველი საზოგადოება?***

— ეს არის ხუხაშვილის იდეა. სწორედ მის მიერ შედგენილი სცენარი, რომ ნაციონალური მოძრაობა უნდა გავიდეს მეორე ადგილზე. რა თქმა უნდა, მას ამაში თავიდან ბოლომდე ხელს უწყობენ რესპუბლიკელები. ეს არის ხუხაშვილისა და რესპუბლიკელების ერთობლივი პროექტი, რომ ნაციონალური მოძრაობა გადაარჩინონ და გაიყვანონ მეორე ადგილზე. ამისთვის მიმდინარეობს სერიოზული მცდელობა და ხშირ შემთხვევაში ეხმარებიან კიდეც ნაციონალურ მოძრაობას. ხუხაშვილის კაბინეტში და სხვათა შორის, რესპუბლიკელების თბილისის ოფისში, საკმაოდ ხშირად დააფიქსირეს ნაციონალებისა და რესპუბლიკელების ერთობლივი შეკრებები. მე ისიც ვიცი, რომ ხუხაშვილი და ვინმე ჩხატარაშვილი, რომელიც არის ადეიშვილის მარჯვენა ხელი, მისი მეშვეობით ათეთრებს ადეიშვილს და ცდილობს, რომ ადეიშვილს მოუხსნან ყველანაირი ბრალდება და ადეიშვილმა უზრუნველად იცხოვროს საქართველოში ან მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. მე ახლა ვერაფრით დავიჯერებ, რომ ხუხაშვილი ადეიშვილის გათეთრებაში სერიოზულ სარგებელს არ ნახულობდეს. ნაციონალების მოყვანა „ქართულ ოცნებაში“, მათთვის თბილისის საკრებულოს ჩაბარება — ეს ყველაფერი ხუხაშვილის დამსახურებაა.

***— რატომ მაინცდამაინც ხუხაშვილის, ბატონო სანდრო?***

— იმიტომ, რომ ხუხაშვილს დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე. მას პირად საუბრებში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ არა ის, ბიძინა ივანიშვილი ვერაფერს მიაღწევდა. პირდაპირ მის სიტყვებს გეტყვით — მე რომ არ ვყოფილიყავი, ივანიშვილი ისევ ჭორვილაში ჩარჩენილი ბიზნესმენი იქნებოდა და ვერასოდეს მოვიდოდა ქართულ პოლიტიკაშიო. დღეს ხუხაშვილს თავი ქვეყნის პრემიერიც ჰგონია და პრეზიდენტიც. ხუხაშვილის მიერ წარმოებული პოლიტიკა და ამ პოლიტიკაზე დაყრდნობილი ძალა და სახელმწიფო, რასაკვირველია, ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწევს. ხუხაშვილი, როგორც სხვა შემთხვევებში, ახლაც გაიქცევა და იპოვის თავის გზას. როგორც მე ვიცი, მას ბოლო ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი ფინანსები დაუგროვდა. მას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შეუძლია, არხეინად იცხოვროს. ხუხაშვილი და მისნაირები გაიქცევიან ამ ქვეყნიდან, ჩვენ უნდა დავრჩეთ აქ, ჩვენმა შვილებმა უნდა იცხოვრონ ამ ქვეყანაში და სწორედ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ქვეყნის გადარჩენისთვის. სწორედ ამიტომ სჭირდება საქართველოს მოსახლეობას გამოფხიზლება. სხვათა შორის, გარკვეული გამოფხიზლება სჭირდება ბიძინა ივანიშვილსაც. წარმოიდგინეთ ახლა, ამ ადამიანს ჩააგონეს, რომ ადეიშვილი არის კარგი პიროვნება, მასზე ჭკვიანი არავინ არსებობს, ხოლო ზვიად გამსახურდიას დაუქცევია ქვეყანა. აქედან უკვე კარგად ჩანს, რომ მისი მრჩევლები მოქმედებენ მის საწინააღმდეგოდ და ეს ყველაფერი ხდება შეგნებულად. ჩემ თვალწინ ზვიად გამსახურდია დაღუპა საკუთარმა გარემოცვამ. ჩემ თვალწინ ედუარდ შევარდნაძე დაღუპა საკუთარმა გარემოცვამ, ჩემ თვალწინ ასლან აბაშიძე დაღუპა საკუთარმა გარემოცვამ და შემდგომში ჩემ თვალწინ სააკაშვილი დაღუპა თავისმა გარემოცვამ. მე არ მინდა, რომ კიდევ ერთი ასეთი ფაქტის მომსწრენი გავხდეთ. თუ ეს მოხდა, ეს ძალიან ცუდი შედეგების მომტანი იქნება. მე ამას ივანიშვილის გულშემატკივრის პოზიციიდან ვლაპარაკობ და მე გულშემატკივარი ვარ მისი, თუმცა, შესაძლოა, დღეს მას ჰგონია, რომ მისი მოწინააღმდეგე ვარ. რასაც მე ვამბობ, ეს არის თავიდან ბოლომდე სიმართლე და ამ სიმართლეს ყველამ უნდა გაუსწოროს თვალი. ხუხაშვილი და რესპუბლიკელები ჩვენს ქვეყანას ვერ ააშენებენ. თუ ამაში ვინმე შემეკამათება, ის ან გონებადაბნელებულია, ან მათი ჯგუფის წევრი.

მერი ნამორაძე

**2014 წელი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ინიციატივით შესაძლოა ბავშვთა უფლებების დაცვის წლად გამოცხადდეს. ამის შესახებ კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ იუნისეფის ბავშვთა მიმართ ძალადობის კვლევის პრეზენტაციაზე განაცხადა. კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 60 პროცენტი თვლის, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდების.**

# პარლამენტი ბავშვების უფლებების დაცვით დაინტერესდა



კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 3345 ადამიანი 3284 ოჯახიდან, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩა. კვლევაში მონაწილეობდა 61 პროფესიონალი – სოციალური მუშაკები, მასწავლებლები და სკოლის მანდატურები. მონაწილეები ისე შეირჩა, რომ წარმოდგენილი ყოფილიყვნენ საზოგადოების სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური და ეთნიკური ჯგუფები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბიჭები და გოგონები.

ეკა ბესელიამ მადლობა გადაუხადა კვლევის ინიციატორებს და მედიასთან საუბრისას აღნიშნა, რომ ძალიან მძიმე სტატისტიკა გვაქვს ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. მან ბავშვთა სიღარიბის კვლევის შედეგებიც შეახსენა ჟურნალისტებს და დასძინა, რომ ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა სიღარიბის დაძლევა პრიორიტეტია და კომიტეტს სურვილი აქვს, მომავალი წელი ბავშვთა უფლებების და ბავშვთა სიღარიბის დაძლევის წლად გამოაცხადოს.

– ეს იქნება იმის ხაზგასმა, რომ ბავშვებისთვის უკეთეს მომავალზე ზრუნვა, ბავშვთა უფლებების დაცვა და სიღარიბის დაძლევა იქნება მართლაც ყველაზე კეთილშობილური საქმე, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ. ჩვენ ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ გაეროს ამ წარმომადგენლობასთან და გვაქვს კონკრეტული იდეები, მოსაზრებები, რომელზედაც გავაგრძელებთ ერთად მუშაობას. უნდა მივაღწიოთ იმას, ოჯახის ყველა წევრმა გაიაზროს, რომ ბავშვის აღზრდის საშუალება არ არის დასჯა. ნებისმიერი ფორმით ძალადობის დაშვება, ეს არის დანაშაული, – აღნიშნა ბესელიამ.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. ყოველი მეორე ქართველი მიიჩნევს, რომ დასჯის ძალადობრივი ფორმები უფრო ქმედითია, ვიდრე არაძალადობრივი აღმზრდელობითი მეთოდები. მოსახლეობის დიდ უმეტესობას, მათ შორის პროფესიონალებს, სჯერათ, რომ ოჯახის შიდა საქმეები მხოლოდ ოჯახს ეხება და გარეშე პირები ამაში არ უნდა ჩაერიონ.

„ძალადობა ყველგან არის. იგი ხდება ყველა ქვეყანაში და საზოგადოების ყველა ფენაში, მაგრამ ძალიან ხშირად ბავშვთა მიმართ ძალადობა შეუმჩნეველია, რადგან იგი ხდება სახლში, ოჯახში და ხალხი არ აქცევს მას ყურადღებას. იუნუსეფი თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან, რათა გაძლიერდეს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურები. მაგრამ იმისთვის, რომ ამ ინსტიტუციურმა მექანიზმმა სათანადოდ იმუშაოს, უმნიშვნელოვანესია, რომ ყველამ ვიაქტიუროთ და ამოვიღოთ ხმა, როდესაც ვხედავთ ძალადობას“, – განაცხადა იუნისეფის წარმომადგენელმა საქართველოში, საშა გრაუმანმა.

ანგარიშში ასევე განხილულია დამოკიდებულება სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობისა და უგულებელყოფის მიმართ და შესწავლილია, თუ რამდენად მომთმენია საზოგადოება ძალადობის ჩამდენი პირებისადმი. ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა სახის ძალადობასთან გვაქვს საქმე. მოსახლეობის 85 პროცენტი მიიჩნევს, რომ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირების მიმართ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ძალადობის სხვა ფორმის შემთხვევაში, როგორიცაა, მაგალითად, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა და უგულებელყოფა, უპირატესობა ენიჭება ძალადობის ჩამდენ პირთა რეაბილიტაცია-სამედიცინო მკურნალობას. ეს შედეგები ემთხვევა კვლევის სხვა შედეგებს, მაგალითად იმას, რომ საზოგადოება ძალადობის ყველა ფორმას ერთნაირად სერიოზულ დანაშაულად არ მიიჩნევს. სექსუალური ძალადობა უფრო სერიოზულ კრიმინალურ დანაშაულად ითვლება, ვიდრე ბავშვთა მიმართ ჩადენილი სხვა სახის ძალადობა.

შეფასდა ასევე იმის ალბათობა, რომ ადამიანები შეატყობინებენ შესაბამის ორგანოებს ძალადობის შემთხვევების შესახებ. კვლევის თანახმად, საზოგადოების 45% მიიჩნევს, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა დასაშვებია. გამოკითხულთა 94%-ს ესმის, რომ ბავშვისათვის საზიანოა, თუ ის ოჯახში ძალადობის მომსწრეა. უმრავლესობა – 70 პროცენტი, თავშეკავებით ეკიდება იდეას, რომ „უფლებამოსილი ორგანოები“ ოჯახის საქმეებში ერეოდნენ, თუნდაც იქ ძალადობა ხდებოდეს. მიუხედავად ამისა, იუნისეფში აღნიშნავენ, რომ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების და სხვადასხვა პროფესიონალთა როლის შესახებ ინფორმაციის ფლობა ხელს უწყობს მიმართვიანობას, რადგან თუ პიროვნებამ იცის, რა უნდა გააკეთოს და ვის მიმართოს ძალადობის შემთხვევაში, 80 პროცენტია იმის ალბათობა, რომ იგი განაცხადებს პრობლემის შესახებ. თუმცა, მხოლოდ 38%-მა იცის მიმართვიანობის პროცედურების შესახებ.

როგორც აღმოჩნდა, პოლიციელებსა და სოციალურ მუშაკებს ყველაზე უკეთ ესმით ბავშვთა მიმართ ძალადობის არსი, მაგრამ საგრძნობლად ნაკლები ცოდნა აქვთ მათ რეფერირება-მიმართვიანობის პროცედურების შესახებ. სოცმუშაკთა 22% მიიჩნევს, რომ მის პასუხისმგებლობაში არ შედის ფიზიკურ ძალადობაზე რეაგირება, ხოლო 26% თავის საქმედ არ მიიჩნევს ბავშვების უგულებელყოფის შემთხვევებს. სკოლებში მომუშავე პროფესიონალებს ნაკლებად ესმით საკუთარი როლი ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში. სკოლებში მომუშავე პროფესიონალების 46%-მა განაცხადა, რომ ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინება საჭიროა მაშინ, როცა იგი მძიმე ფორმისაა და რამდენჯერმე განმეორდა.

რაც შეეხება რესპონდენტთა გამოცდილებას და აღზრდის პროცესში ფიზიკურ ძალადობაზე დამოკიდებულებას, ამ კუთხით კვლევის შედეგები საგანგაშოა – საზოგადოების 30% აღნიშნავს, რომ მშობლები მათ მიმართ ფიზიკურ ძალადობას იყენებდნენ. იმ რესპონდენტების რიცხვი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ბავშვობაში მშობლები მათ მიმართ ფიზიკურ ძალადობას იყენებდნენ, ყველაზე მაღალი ქვემო ქართლსა და კახეთში აღმოჩნდა. მოსაზრება, რომ ფიზიკური ძალადობა დასჯის მისაღები ფორმაა, უფრო მეტადაა გავრცელებული ქალებს შორის, ვიდრე კაცებში. იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვების მოვლა ძირითადად ქალების ფუნქციად ითვლება, საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის ჩამდენი პირებიც ქალები არიან. როგორც იუნისეფში ამბობენ, ასეთი შეხედულებები შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ ისინი არ იცნობენ არსებული პრობლემების გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს. უფრო მეტიც, ბავშვთა მიმართ ძალადობა შეიძლება უკავშირდებოდეს იმას, რომ ოჯახში თავად დედები განიცდიან ძალადობას.

მართალია, ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ დასაშვებია ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება და ძალადობის შემთხვევაშიც კი არ არის მიზანშეწონილი ოჯახის შიდა საქმეებში ჩარევა, მაგრამ საზოგადოებაში გავრცელებული საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, დაახლოებით 82% ფიქრობს, ფიზიკური ძალადობა წარმოადგენს პრობლემას, რომელიც უნდა გადაიჭრას. 40% კი თვლის, რომ ეს სერიოზული პრობლემაა. იუნისეფში ამბობენ, რომ ეს ეწინააღმდეგება საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ ტოლერანტულ დამოკიდებულებას ფიზიკური სასჯელის, როგორც დისციპლინური მეთოდის მიმართ, თუმცა ადასტურებს, რომ ასეთი პრაქტიკის შეცვლის ნება არსებობს.

როგორც გაეროს ბავშვთა ფონდში ამბობენ, იმისათვის, რომ შეიცვალოს ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება და დასრულდეს ძალადობა, საჭიროა კანონმდებლობაში მკაფიოდ განისაზღვროს ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმა იმ მოსაზრების გასამყარებლად, რომ თანაბრად მიუღებელია ბავშვზე ძალადობის ნებისმიერი ფორმა, მათ შორის ოჯახში. უნდა გაძლიერდეს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის სახელმწიფო სისტემა და გაიზარდოს იმ დაწესებულებათა რიცხვი, რომელიც ვალდებული იქნება მოახდინოს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება და რეფერირება; სისტემამ უნდა მოიცვას ბავშვებთან მომუშავე ყველა დაწესებულება და სამსახური, ასევე ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინების ვალდებულების მქონე პირი. ამასთან, რეგულარულად უნდა ჩატარდეს საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის კამპანიები და ტრენინგები მშობლებისათვის, რათა ხელი შეეწყოს პოზიტიური აღზრდის მეთოდებს.



## გიორგი მარგველაშვილი: „ინტრიგანი არ ვარ“

კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ვინც მას იცნობს, კარგად იცის, რომ არც ინტრიგანი არ არის, არც ძალაუფლება ჭირდება და არც ვიღაცის დაჩაგვრა არ უნდა. ამის შესახებ მარგველაშვილმა მთაწმინდის მოსახლეობასთან შეხვედრაზე განაცხადა.

„ვინც მიცნობს, იცის, რომ არც ინტრიგანი ვარ, არც ძალაუფლება მჭირდება და არც ვიღაცის დაჩაგვრა არ მინდა. პოლიტიკით ვეღარ გავერთობით, გავერთობით რაღაც სერიალებით. აგერ თურქული სერიალია მოდაში, იმას ვუყურებთ, მაგრამ პოლიტიკით ვეღარ გავერთობით. იქნება ერთად სვლა ქვეყნის განვითარების სამსახურში“, – აღნიშნა მარგველაშვილმა.

მისი თქმით, დარჩენილი ორი კვირის განმავლობაში ოპოზიციონერები კიდევ უფრო გამოავლენენ საკუთარ თავს.

„ორი კვირა დარჩა, სანამ დასრულდება ეს კოჰაბიტაცია და ეს გარყვნილობა ამ ქალაქში, ამ ქვეყანაში. დასრულდება ის, თითქოს ლეგიტიმურად ხელისუფლებაში მოსული ადამიანები, რომლებიც ღიად აცხადებენ, რომ ისინი არიან ქვეყნის ოპოზიციაში, ოპოზიციის მიტინგებში მონაწილეობენ. თუ ოპოზიციაში ხარ, რატომ ხარ მთავრობაში. ამას წინათ კომიკური მიტინგი ჩაატარეს, მოქმედი მერი და მოქმედი პრეზიდენტი ოპოზიციის მიტინგზე იდგნენ, ეს კომედია იყო“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

**მედიანიუსი**

## „ენგურის ხიდი ჩვენი საერთო მომავლის გამაერთიანებელი გახდება“

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარ სამმართველოს, გუშინ ახალი საპატრულო მანქანები და აღჭურვილობა გადაეცა. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, რეგიონის საპატრულო პოლიციის სამმართველოს ავტოპარკი მთლიანად განახლდა, ხოლო საპატრულო ეკიპაჟების რაოდენობა 30 პროცენტით გაიზარდა. ღონისძიებას ზუგდიდში, შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელები დაესწრნენ.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, დანარჩენი საქართველოსთვის აფხაზეთი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რეგიონია. მინისტრის განცხადებითვე, ქართველები, აფხაზებთან და ოსებთან, მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას, აუცილებლად აღადგენენ.

„განსაკუთრებით საპასუხიმგებლოა ესწრებოდე ცერემონიას იმ რეგიონში, რომელიც აფხაზეთს ესაზღვრება. 1993 წლის ომის შემდეგ, უამრავმა ადამიანმა იპოვა თავშესაფარი სვანეთსა და სამეგრელოში. დარმწუნებული ვარ, რომ ჩვენ დავბრუნდებით, აფხაზ და ოს ძმებთან მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას აღვადგენთ და ენგურის ხიდი გახდება არა წყალგამყოფი ჩვენი ერთიანობისა, არამედ გამაერთიანებელი ჩვენი საერთო მომავლისა. ზემოთთქმულის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს თითოეული დანაყოფის, თითოეული თანამშრომლის მიერ იმის გააზრება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს ამ სტრატეგიულ რეგიონში მშვიდობა, სტაბილურობა და ადამიანის უფლებების დაცვა“-განაცხადა ღარიბაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ისაუბრა ასევე შსს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მნიშველობაზე, რომელიც მთელს რეგიონში, მათ შორის, კონფლიქტისპირა სოფლებში, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას შეუწყობს ხელს.

**მედიანიუსი**

## ირაკლი ღარიბაშვილი: „მინდა ვთხოვო ყველას, მისცენ პოლიციას ნორმალურად მუშაობის საშუალება“



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ორგანიზაციებს მოუწოდებს, პოლიციის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას, ის უწყების პრესსამსახურთან გადაამოწმონ. ასე გამოეხმაურა ღარიბაშვილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებას, რომელიც საიას განცხადებითვე, პოლიციელების მხრიდან მოქალაქე ლევან კორკოტაშვილის ცემის ფაქტს ეხება.

„ძალიან სამწუხაროა, როდესაც ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაცია, როგორიც არის საია და სხვა ორგანიზაციები, არასერიოზულ და გადაუმოწმებელ ინფორმაციას ავრცელებენ. არ მინდა დავიჯერო და ვიფიქრო, რომ ისინი ამას გამიზნულად და შეგნებულად აკეთებენ, მაგრამ სამწუხაროდ, ფაქტი არის ის, რომ ძალიან ხშირად ხდება გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა“ – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, სწორედ მსგავსი დეზინფორმაციული სახის განცხადებები ულახავს იმიჯს არა პოლიციას, არამედ თავად იმ ორგანიზაციას, რომელიც გადაუმოწმებელ ინფორმაციას ავრცელებს.

„ჩვენ ჩავატარეთ მოკვლევა, რომ კონკრეტულად ეს პიროვნება, კორკოტაშვილი ექვსჯერ ნასამართლევია. 30 სექტემბერს ამ ადამიანს ჩაუტარდა ოპერაცია. როგორც ამიხსნეს და მოვისმინე ექიმებისგან, მას შეეძლო ხელოვნურად სახის ერთი ნაწილის, ასე ვთქვათ, ამოვარდნა. შესაბამისად, არავითარი ფიზიკური ზეწოლა არ ყოფილა პოლიციის მხრიდან“ – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მინისტრი სთხოვს ყველას, პოლიციის შესახებ ინფორმაციის გავრცელებამდე იგი სამინისტროს პრესსამსახურთან გადაამოწმოს, რომელიც მისივე თქმით, 24 საათის განმავლობაში მუშაობს.

„აქვე მინდა ვთხოვო ყველას, რომ პოლიციას მისცენ ნორმალურად მუშაობის საშუალება და შეცდომაში არ შეიყვანონ საზოგადოება“ – განაცხადა შს მინისტრმა.

**ნიუსპრესი**

# ზაზა ურუშაძე: „კინო ფუფუნება არ არის!“

ეკა ირემაშვილი

17 ოქტომბრიდან საქართველოს კინოთეატრებში რეჟისორ ზაზა ურუშაძის ახალი ფილმის „მანდარინების“ პრემიერა გაიმართება. მანამდე შემოქმედებითმა ჯგუფმა პრესისთვის დახურული ჩვენება მოაწყო, 15 ოქტომბერს დახურული ჩვენება კი უკვე სპეციალური სტუმრებისთვის არის დაგეგმილი.

ზაზა ურუშაძის ახალი ფილმი ქართულ-ესტონური კოპროდუქციაა და მასში ქართველი და ესტონელი მსახიობები მონაწილეობენ. მიშა მესხი ქართველ მოხალისეს თამაშობს, გიორგი ნაკაშიძე — ჩეჩენ ბოევიკს.

რატომ უნდა ნახოს მაყურებელმა რეჟისორის ახალი ნამუშევარი, ამ თემაზე ზაზა ურუშაძე „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**ზაზა ურუშაძე:**

— 15 ოქტომბერს არის დახურული ჩვენება და 17 ოქტომბრიდან ფილმი უკვე კინოთეატრებში გამოვა. ძალიან კარგი ჯგუფი მყავდა, ეროვნული კინოცენტრიც და კულტურის სამინისტროც დაგვეხმარა. მთლად ისეც არ ყოფილა, რომ ფინანსებზე არ მეფიქრა, მაგრამ ჩვენ გვეყო ფული, იმიტომ, რომ სხვადასხვა ქვეყნის დაფინანსება იყო, თუმცა არანაირი ფუფუნება არ გვქონია.

***— ფილმი მალე გადაიღეთ?***

— კი, 32 დღეში გადავიღეთ ფილმი.

***— რატომ უნდა ნახოს ეს ფილმი მაყურებელმა?***

— იმიტომ, რომ საინტერესო ფილმია, ჩემი აზრით, სხვა რაღაცების გარდა, სამაყურებლო ნამუშევარიც არის. ეს არის პირველი ესტონურ ქართული კოპროდუქცია, ფული შეკრებილია სხვადასხვა ქვეყნიდან — საქართველოდან, ესტონეთიდან, ევრიმაჟიდან, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი ფონდია მსოფლიოში კინოს განვითარების მხრივ. ნახევარი ჯგუფი იყო ესტონური, ნახევარი — ქართული, ოპერატორი იყო ესტონელი, ხმა ესტონეთიდან იყო, ჩემი თანაპროდიუსერიც ესტონელი იყო. გარდა იმისა, რომ ფილმის რეჟისორი ვარ, პროდიუსერიც გახლავართ.

***— ფილმში დაკავებულ მსახიობებზე რას იტყვით?***

— ფილმში ქართველი მსახიობებიდან თამაშობენ მიშა მესხი და გიორგი ნაკაშიძე. მიშა მესხი არის ქართველი მოხალისე, გიორგი ნაკაშიძე თამაშობს ჩეჩენ ბოევიკს, ესტონეთის მხრიდანაც ძალიან ცნობილი მსახიობები არიან.

***— ფილმს საფესტივალო მომავალს უწინასწარმეტყველებთ?***

— ფილმი უკვე მიწვეულია ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალში მთავარ კონკურსში. ვარშავის კინოფესტივალი ა კლასის კინოფესტივალია და ძალიან კარგია, რომ ჩვენი ფილმი იქ მოხვდა, ასევე გვაქვს მიწვევები სხვა კინოფესტივალზეც, მათ შორის ბაჰრეინის კინოფესტივალზე მთავარ საკონკურსო პროგრამაშია ფილმი ჩასმული. ვარშავასა და თბილისში თითქმის ერთდროულად არის პრემიერა.

***— სად გადაიღეთ ფილმი?***

— გურიაში არის სოფელი ნატანები, სადაც სერიოზული დეკორაციები ავაგეთ, გზები გავიყვანეთ, სახლები ავაშენეთ, პატარა სოფელი გავაკეთეთ, ხეები დავრგეთ, მართლა სერიოზული სამუშაოებია გატარებული. ეს იდეა ესტონელმა პროდიუსერებმა შემომთავაზეს. აფხაზეთში ადრე ესტონელები ცხოვრობდნენ, იქ მათი რამდენიმე სოფელი არსებობდა. ფილმი აფხაზეთის ომზეა. როგორც კი ომი დაიწყო, ყველა წავიდა ისტორიულ სამშობლოში. დარჩა მხოლოდ რამდენიმე ადამიანი, ამაზეა ფილმი. მოკლედ რომ ვთქვა, ქართველი მოხალისე და ჩეჩენი ბოევიკი დაპირისპირებული არიან ერთმანეთთან, დაჭრიან ერთმანეთს და აღმოჩნდებიან მოხუცი ესტონელი კაცის სახლში, რომელიც მათ შეიფარებს და მთელი ფილმის განმავლობაში უნდათ, რომ ერთმანეთი დახოცონ. ვეცადეთ, ფილმი ტოლერანტობასა და ადამიანთა შორის მეგობრობაზე ყოფილიყო. მიუხედავად სირთულეებისა, ჩვენი გმირები, ცდილობენ, შეინარჩუნონ ადამიანობა.

***— რამდენად ძვირი დაჯდა თქვენი ფილმი?***

— რამდენიც სჭირდებოდა, იმდენი იყო ფული. ეყო ბიუჯეტი ფილმს.

***— ანუ საწუწუნო არ გაქვთ?***

— ეს იყო კოპროდუქცია, არ იყო უზარმაზარი ბიუჯეტი, საერთოდ, ბიუჯეტი ყოველთვის პირობითია. მაგალითად, 200 მილიონი დოლარი ცოტაა, როცა „ტიტანიკს“ იღებ, 250 მილიონი იყოს ბიუჯეტი, ჯობია. გააჩნია, რა ფილმია, როგორი დრამატურგიაა და რა ხდება და სად ხდება. მთავარია, ბიუჯეტი უნდა ეყოს პროექტს, რეალური ბიუჯეტი უნდა იყოს. ჩვენ გვეყო, უკმაყოფილო არ ვარ, რაც გვჭირდებოდა, ის გვქონდა.

***— ესტონეთში იყო უკვე პრემიერა?***

— არა, ესტონეთში პრემიერა არის 31 ოქტომბერს. რეჟისორი ქართველია და ამას ხომ მნიშვნელობა აქვს? ამ ფილმის რეჟისორიც და სცენარისტიც ქართველია, მოქმედებებიც საქართველოში ხდება, საქართველოსთან არის დაკავშირებული, აფხაზეთის თემაა და...

***— მიშა მესხი ქართველი მაყურებლისთვის გოგლიკოსთან ასოცირდება. თქვენს ფილმში სულ სხვა მიშა მესხს ნახავენ?***

— მე გადავიღე ბოლო გასეირნება და, სხვათა შორის, თუ დააკვირდებით, მესამე ყარაბაღში ცოტა სხვანაირად თამაშობს მიშა მესხი, თამაშობს უფრო ასაკოვან გოგლიკოს და უფრო დინჯია, ვიდრე მანამდე. ფაქტობრივად, სულ გოგლიკოს თამაშობს სამივე ყარაბაღში და ხასიათს ხომ არ შეიცვლიდა?! ამ ფილმში სულ სხვანაირი მიშა მესხია, ნიჭიერი კაცია, ძალიან კარგი მსახიობია და „მანდარინებში“ ნამდვილად განსხვავებულს ვიხილავთ.



***— მომავალშიც თუ ითანამშრომლებთ?***

— კი, აუცილებლად, თუკი იქნება მისი როლი, აუცილებლად ვიმუშავებთ ერთად.

***— აფხაზეთის თემა ქართულ ფილმებს თან სდევს, თქვენ რატომ გადაწყვიტეთ აფხაზეთის თემაზე ფილმის გადაღება?***

— ჩვენი ფილმი არ ეხება ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს, ომი საერთოდ არ არის ჩვენს ფილმში, ომი ფონად არის. აქ არ არის აპელირება ტერიტორიების დაკარგვაზე. აქ საუბარია ადამიანებზე, რომლებიც აღმოჩნდნენ არა იმ დროს და არა იმ ადგილას, სადაც უნდა აღმოჩენილიყვნენ ანუ აღმოჩნდნენ ცუდ დროს და ცუდ ადგილას. ეს ფილმი არის ადამიანების ტრაგიკულ ბედზე, რომლებიც 100 წელზე მეტი ცხოვრობდნენ, იბადებოდნენ, კვდებოდნენ, უცებ აიყარნენ და წავიდნენ, იმიტომ რომ უცებ დაიწყო ომი და არ იყო მშვიდობა. ფილმი არის ადამიანებზე, მიუხედავად ნაციონალური, რელიგიური და სხვადასხვა ხედვისა, ეს ადამიანები ცდილობენ, გამონახონ საერთო, მიუხედავად იმ სიტუაციისა, რაშიც აღმოჩნდნენ. მძიმე ფონის მიუხედავად, ცდილობენ, რომ დარჩნენ ადამიანებად, ეს იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო და არა ის, ომი ვინ დაიწყო და რატომ. ეს პოლიტიკის საქმეა და, როცა კინოში პოლიტიკაა წინ წამოწეული, ის ფილმი, არა მგონია, საინტერესო იყოს. ეს არ არის ხელოვნების დანიშნულება. „მანდარინებში“ აფხაზეთის თემა არ იყო მთავარი, თუმცა, თავისთავად არსებობს, რა თქმა უნდა. როგორც მოქალაქისთვის, ეს ჩემთვის მტკივნეული თემაა, მაგრამ კინოში მთავარი სათქმელია ადამიანური ურთიერთობები.

***— რატომ „მანდარინები“?***

— მთავარ როლშია მანდარინების პლანტაცია. ნეიტრალური სახელია, თან, რომ ნახავთ ფილმს, მიხვდებით, რატომაც. ვითომ არაფერი „მანდარინები“, მაგრამ ინტრიგა არის, ამ დროს იქ მთელი ამბავი ხდება.

***— მიუხედავად იმისა, რომ პრემიერა ჯერ არ ყოფილა, სხვა ფილმზე უკვე ფიქრობთ?***

— მინდა, ცოტა ხანს დავისვენო, ახალ პროექტებზე არ ვფიქრობ. ძალიან მივაყარე ფილმები ერთმანეთს, სამი ფილმი გადავიღე წელიწად-ნახევარში, რეკორდივით არის.

***— ეს ცუდია?***

— რა თქმა უნდა, არა, ეს კარგია, ბედნიერებაა რეჟისორისთვის, შემოქმედებითი პროცესია მთავარი, მაგრამ კინოკავშირში ამირჩიეს თავმჯდომარედ და ბევრი რამ არის გასაკეთებელი. იმიტომ კი არ მინდა, პაუზა ავიღო, რომ ხელს მიშლის რამეში, მინდა, დავუთმო დრო კინოკავშირს, რომ რეფორმა დავიწყოთ.

***— შეეგუეთ თანამდებობას?***

— საპატიო თანამდებობაა ეს ჩემთვის, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე რომ ხარ, ეს ნამდვილად საპატიოა. თან მესამე თავმჯდომარე ვარ კინოკავშირის ისტორიაში. სიკო დოლიძე იყო 11 წელი კინოკავშირის ხელმძღვანელი, კინოს სახლი რომ გვაქვს, მისი დამსახურებაა, შემდეგ იყო ელდარ შენგელაია, რომელმაც 36 წელი უხელმძღვანელა ამ კავშირს და ახლა ვარ მე. ნამდვილად არ ვაპირებ იქ დიდხანს ჯდომას.

***— რატომ?***

— არა და იმიტომ.

***— კაბინეტი თქვენი სტილი არ არის?***

— რეჟისორისთვის კაბინეტი კომფორტული არ არის. კომფორტულია მხოლოდ მაშინ, როცა მოსამზადებელი პერიოდი აქვს და მუშაობს ფილმზე. ისე, კაბინეტური ცხოვრება არ მომწონს.

***— კინემატოგრაფისტთა კავშირში რა რეფორმების განხორციელებას აპირებთ?***

— რაც მე ამირჩიეს, შემოვიდა 35 ახალგაზრდა კავშირში და ახლა კიდევ შემოდიან. ელდარ შენგელაიამ ბევრი რამ გააკეთა, მისი პირადი დამსახურებაა, რომ კინოს სახლი არ გაიყიდა, ის კინემატოგრაფისტთა კავშირის კუთვნილებაა. რომ არა ელდარი, ეს შენობა აღარ იქნებოდა ამ კავშირის. ძალიან ბევრი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო მიინავლა იქ სიცოცხლე და ბევრი ფუნქცია დაკარგა კინოკავშირმა. ამის მიზეზი ისიც არის, რომ მთავრობები იცვლებოდა, ახალ რელსებზე გადასვლა ყველას უჭირს. ძალიან რთული პროცესები გაიარა ამ კავშირმა. მოვედი იმიტომ რომ, გამოცოცხლდეს ჩვენი კავშირი, აბა, კაბინეტში დასაჯდომად არ მოვსულვარ.

***— კონკრეტული გეგმები გაქვთ?***

— რა თქმა უნდა, გეგმები მაქვს. კავშირი არის გარანტია იმის, რომ 350-ზე მეტ წევრს პროფესიული და სოციალური ნიშნით დაეხმაროს. არ არის გამორიცხული, კინოაკადემიადაც გადაკეთდეს, აუცილებლად უნდა მოხდეს დიდი დარბაზის რეაბილიტაცია და ჩატარდეს კინოსთან დაკავშირებული ღონისძიებები, ყველას უნდა მოუნდეს იქ ყოფნა, გვინდა ჩავატაროთ მასტერკლასები, დისკუსიები, პრეზენტაციები, სიცოცხლე უნდა ჩქეფდეს. ეს ადგილი ყველას სახლი უნდა იყოს, შესაკრები ადგილი კინემატოგრაფისტებმა დაკარგეს, ველარ იკრიბებიან, აღარ ტარდება შეხვედრები. გვსურს, ეს პროცესები გამოვაფხიზლოთ.

***— აქვს კინოკავშირს უფლება, ჩაერიოს „ქართული ფილმის“ აქციონერებთან დაკავშირებულ პროცესებში?***

— კინოკავშირი არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, მაგრამ ის არის მთელი საქართველოს კინოკავშირი, ამიტომ აზრის გამოთქმა, პოზიციის დაფიქსირება, რა თქმა უნდა, შეუძლია და მისი პირდაპირი მოვალეობაც არის. კინოსტუდიაში ვინც არიან, ბევრი კინოკავშირის წევრია.

***— თქვენ ხართ აქციონერი „ქართულ ფილმში“?***

— კი, აქციონერი ვარ. არათუ აქციონერი ვარ, ბორდის წევრიც ვარ. იქ დავინიშნე მანამდე, სანამ კინოკავშირის თავმჯდომარე გავხდებოდი. ცოტა მიჭირს, იქაც ვიყო და აქაც ვიყო, ჯერჯერობით ვარ ბორდში და მერე ვნახოთ. კინოსტუდია „ქართული ფილმი“ სულ სხვა თემაა, შეიცვალა სისტემა, აღარ ფინანსდება სახელმწიფოსგან, კინოცენტრი არსებობს, იქ მხოლოდ ბაზაა, ისიც ნაწილი დარჩენილი და ძალიან რთულია ამის ამოძრავება, მაგრამ, მგონია, რომ არის შანსები, იქაურობა კინოსტუდიას დაემსგავსოს.

***— ძველი კინოსტუდიის ტერიტორიის გასხვისებაზეც იყო საუბარი. როგორ გადაწყდა ეს საკითხი?***

— ეს იყო წინა ხელისუფლების დროს, ამის წინააღმდეგი პირადად მეც ვიყავი და, საბედნიეროდ, მოვახერხეთ ამ ტერიტორიის შენარჩუნება. ისეთი სიტუაცია იყო, პირველი ოქტომბრის არჩევნები სხვანაირად რომ არ დამთავრებულიყო, ეს ტერიტორია აუცილებლად გაიყიდებოდა, იმიტომ რომ ყველაფერი გამზადებული იყო. ჩვენი აზრით, ეს არ იყო სწორი. იოლი არ არის იქ სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ ძალიან ფასეული ტერიტორიაა, უფრო ფასეული, ვიდრე დიღომია. ადრე დიღომში იმიტომ გააკეთეს კინოსტუდია, რომ მაშინ დიდი მასშტაბების ტერიტორია იყო საჭირო, წარმოება საკმაოდ დიდი იყო, ახლა შემცირდა. შედარებით მოშორებით უნდა ყოფილიყო ეს ტერიტორია, რადგან დიდი მანქანები, ლაბორატორიები იყო საჭირო. ახლა აღარ არის აუცილებელი არც ლაბორატორია და აღარც მანქანები, შეიცვალა მასშტაბები, ამიტომ შესაძლებელია, ძველ კინოსტუდიაში გაკეთდეს სრულფასოვანი კინოსტუდია და არ არის აუცილებელი, შორს იყოს.

***— აქვს შანსი, აღდგეს და გაძლიერდეს ქართული კინო?***

— ქართული კინო სულ სხვა რამეა. ქართულ კინოს არ ვაკავშირებ მაინცდამაინც კინოსტუდიასთან. ადრე სულ სხვა სისტემა იყო, ახლა ეროვნული კინოცენტრი არსებობს, ძალიან კარგი სტრუქტურაა, ორი წელი კინოცენტრსაც ვხელმძღვანელობდი. უამრავი რაღაც არსებობს, კი, არის აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ მთავარია, რომ სტრუქტურა არის ძალიან სწორი. ეს სისტემა საქართველოში ძალიან კარგია, რომ არსებობს სახელმწიფო ინვესტორი, სადაც კონკურსები ტარდება და კონკურსის საფუძველზე ფინანსდება, გნებავთ, პროდიუსერი და, გნებავთ, სტუდია. რაც შეეხება კინოსტუდიას, მას თავისი ტრადიცია აქვს და ის რომ ჩაიკარგოს და გაქრეს, არ არის სწორი, უბრალოდ, მოსაფიქრებელია თანამედროვე ფორმა, რომ არ იყოს ისეთი მახინა, რაც ადრე იყო და პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს. ძალიან დიდი და რთული თემაა, სერიოზული ფიქრი სჭირდება, რომ კინოსტუდია რაღაც ფორმით შევინარჩუნოთ. ამხელა აღარ უნდა იყოს, თანამედროვე უნდა იყოს. მას ერთჯერადი ინვესტიცია სჭირდება, რომ ფეხზე დადგეს. თუ გააკეთა სახელმწიფომ ეს, კარგი იქნება. აზერბაიჯანმა 300 მილიონ ევრომდე მისცა ერთჯერადი ინვესტიცია კინოს რამდენიმე წლის წინ, იმის მერე 20 მილიონს აძლევს წელიწადში.

***— და საქართველოში როგორაა საქმე ამ მხრივ?***

— მთელი ქართული კინო ფინანსდება 4 მილიონ ლარად, ეს სასაცილოა. არ ვიცი, რას ფიქრობენ, ან ის ხელისუფლება რას ფიქრობდა, ან ეს ხელისუფლება რას ფიქრობს. ქართულ კინოს ასეთი ტრადიცია აქვს, ზოგ ქვეყანას საერთოდ არ აქვს კინო და შეიძლება, ქართულ კინოს 4 მილიონი ლარი მისცე, არა მარტო კინოს წარმოებისთვის, არამედ მთლიანად, რაც საჭიროა კინოს განვითარებისთვის?! ეს არასერიოზული მიდგომაა. სულ ვცდილობ, რაღაცნაირად გავაგებინოთ ამ ხალხს, რომ არ შეიძლება ქართული კინო ფინანსდებოდეს მხოლოდ 4 მილიონი ლარით. ეს ძალიან ცოტა თანხაა. სამი წლის წინ ამ ფილმისთვის 100 ათას ევრომდე ავიღე საქართველოდან. ხუთჯერ მეტი მომცეს უცხოელებმა. შეიძლება, მე გამიმართლა, მაგრამ ყველას ხომ არ უმართლებს ასე? ნებისმიერმა ქართველმა რეჟისორმა თავისი სახელმწიფოს მხრიდან უნდა მიიღოს ნორმალური დაფინანსება და მერე შეიძლება, იშოვოს დანარჩენი თანხა კოპროდუქციაში, მაგრამ არ იყოს საშუალება, რომ ფილმი დაფინანსდეს ნორმალურად და ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყოს რეჟისორი, საიდან მოიტანოს ფული, რომ არ დააგდოს ხარისხი იმის გამო, რომ სახელმწიფო რატომღაც იძლევა კაპიკებს, მაშინ, როცა ერთ ოპერის თეატრს იმაზე მეტს აძლევენ, ჩემთვის გაუგებარია. ოპერას არავითარ შემთხვევაში არ ვაკნინებ, პირიქით, ძალიან კარგია, მაგრამ სულ სხვადასხვა მასშტაბებია, როგორც შეიძლება იგივე ფული მისცე მთელ ქართულ კინოს, ვიდრე ერთ ოპერას. კინო ვიღაცებს ფუფუნება ჰგონიათ, ვინც არ არის ჩახედული და სერიოზულად არ უყურებენ. კინო ფუფუნება არ არის, ასეთ დროს, როცა მთელი ქართული კინოს დაფინანსება 4 მილიონია, კინოზე ლაპარაკიც არასერიოზულია. კინოში დასაქმებულია ძალიან ბევრი ხალხი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტრადიციას, იმას, რომ ქართული კინო კულტურული მემკვიდრეობაა, უბრალოდ, ვერ ხვდება ეს ხალხი, რომ პროფესიონალები არიან, რომლებსაც სხვა არაფრის კეთება არ შეუძლიათ და შემოსავალი მხოლოდ ამის საშუალებით აქვთ. მარტო რეჟისორი ხომ არ არის დასაქმებული კინოში? როცა ფილმს იღებ, მინიმუმ 40 კაცია დასაქმებული მარტო ჯგუფში. იკარგება ეს პროფესიები და მისი აღდგენა რთულია. ახლა ცოტა ამოისუნთქა ქართულმა ფილმმა, გავწევრიანდით ევრიმაჟში, გაიხსნა საზღვრები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, შენმა ქვეყანამ უნდა შეძლოს, დაგაფინანსოს და შეინარჩუნოს ქართული კინო და პროფესიონალები. ქართული კინო 100 წლისაა, ძალიან სერიოზული ტრადიციები აქვს და არ არის ხელწამოსაკრავი, იოლად საყურებელი, რომ ვიღაცა წყვეტდეს, მოდი, ამას რაღაცა გადავუგდოთ. ეს ძალიან შეურაცხმყოფელია. არ ვიცი, რა და როგორ იქნება მომავალში, მაგრამ ამჟამად სიტუაცია საკმაოდ რთულია. ამას უნდა სერიოზული მიხედვა, ქართული კინო ჩვენი მონაპოვარია, ჩვენი მემკვიდრეობაა და ყველამ უნდა იგრძნოს თავისი წილი პასუხისმგებლობა. ცოტა წინ წაიწია ქართულმა კინომ, რთული პერიოდი ჰქონდა და გამოსულია, მაგრამ ერთი და ორი ფილმი არ არის საკმარისი, როცა მთლიან ქართულ ფილმზეა ლაპარაკი. შადრევანს აკეთებდნენ და იხდიდნენ 30-ჯერ მეტს, ვიდრე ქართულ კინოს აფინანსებდნენ და ახლა მაინც მიხვდნენ ამას.

***— შესაძლებელია მცირე ბიუჯეტით კარგი ფილმის გადაღება?***

— გააჩნია, როგორია ჩანაფიქრი და დრამატურგია. პროექტს უნდა ეყოს ფული და არა პროექტი ეყოს ფულს. მთლიანად პროექტი უნდა დაითვალოს და, რაც სჭირდება, ის თანხა უნდა იყოს. შეიძლება, გააკეთო ფილმი, რომლის მოქმედებაც ვითარდებოდეს ერთ სახლში და სულ სამი ან ორი მსახიობი იყოს დაკავებული. ყოფილა ასეთი ფილმებიც და ძალიან იაფიც ჯდება. როცა სერიოზული სცენები გაქვს გადასაღები, არის მასობრივი ეპიზოდები, ვთქვათ, ბრძოლა და იქ კომპრომისზე მიდიხარ, მაშინ არ შეიძლება, კარგი კინო გამოვიდეს. თუ ირჩევ პროექტს, რომელიც ღირს 2 მილიონი, რეალურად სხვანაირად არ შეიძლება გაკეთება და უცებ 100 ათასად იღებ, მაშინ ხარისხს უკვე აგდებ. შეიძლება, ღირდეს პროექტი 200.000, არ დააკლო არაფერი და გადაიღო კარგად, იმიტომ, რომ მეტი არ სჭირდებოდეს.

***— კომერციული ფილმის კეთება შეიძლება საქართველოში?***

— არ ვიცი, საერთოდ რა არის ქართული კომერციული კინო. ლოკალური ბაზრისთვის კინოს გადაღებას, ჯობია, საერთოდ არ გადაიღო. ხანდახან ხდება საქართველოში, რომ მდარე ხარისხის ფილმებსაც დაუჭერიათ ანშლაგები და კარგ ფილმებსაც. ვერ გაიგებ, ყველას თავისი მაყურებელი ჰყავს. კომერციულ კინოზე არც უნდა იფიქროს არავინ. კარგია, როცა საყურებლადაც კარგია და კომერციულადაც მომგებიანია ფილმი, მაგრამ... საქართველოს კინოთეატრებზე მაქვს საუბარი, როცა კომერციას საერთოდ ვახსენებ, თუმცა აქაც სასაცილოა საუბარი, რადგან, ელემენტარულად, კინოქსელი არ გვაქვს, სულ რამდენიმე კინოთეატრი გვაქვს საქართველოში და რომელ კომერციულობაზეა ლაპარაკი?! უცხოურ ბლოკბასტერებს ვერასოდეს გაუწევს კონკურენციას ქართული ფილმი და არც უნდა გაუწიოს. ქართულ კინოს აქვს თავისი თვითმყოფადობა, თავისი ხედვა, გამოკვეთილი მიმართულება, რომელიც საინტერესოა. ეს უნდა დარჩეს და ამაზე უნდა იზრუნოს ყველამ. დამიჯერეთ, კარგი ფილმი მაყურებელს ისედაც იზიდავს.

# როჯერ ფედერერს გიტარაზე და საქსაფონზე დაკვრის შესწავლა სურს

**საკმაოდ საინტერესო დიალოგი გაიმართა ფედერერსა და მის ფანებს შორის სოციალური ქსელის – „ტვიტერის" გვერდზე, სადაც როჯერი მისი გვერდის მეშვეობით პასუხობდა ყველაზე საინტერესო და სახალისო შეკითხვებს.**

***– შერეულ წყვილებში რომ თამაშობდე, რომელ ქალ ჩოგბურთელს აირჩევდი პარტნიორად?***

– სერენა უილიამსთან თამაში იქნებოდა საინტერესო.

***–რომელი იტალიური საფეხბურთო კლუბი მოგწონთ ყველაზე მეტად?***

– ყოველთვის მომწონდა „რომა".

***–ყველაზე ლამაზი ადგილი, რაც კი ოდესმე გინახავთ?***

– იაგუზუს ჩანჩქერი და მთლიანად სამხრეთ აფრიკა, მალდივის კუნძულები და შვეიცარიული ალპები.

***– შეგიძლიათ რომელიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა?***

– პიანინოს გაკვეთილებზე დავდიოდი, ახლა კი გიტარაზე ან საქსაფონზე დაკვრას ვისწავლიდი.

***– ქვეყანა რომელშიც არასოდეს ყოფილხარ და სიამოვნებით წახვიდოდი?***

– კამბოჯა, ვიეტნამი, ბოსტვანა, ნამიბია, კენია, ტანზანია, ნორვეგია, უნგრეთი და კიდევ რამდენიმე.

***– ტყუპებს უკვე ასწავლი ჩოგბურთს?***

– კი, თუმცა ისინი არ მისმენენ.

***– საყვარელი ფილმი?***

– „გლადიატორი", ჯეიმს ბონდის სერიები, „დასაწყისი", „ჭკვიანი უილ ჰანთინგი", „შავი რაინდი" და კიდევ რამდენიმე.

***– უყურებ სერიალებს და თუ კი რომელს?***

– მიყვარდა „გაქცევის", „ანტურაჟის", „გმირების" და „დაკარგულების" ყურება, შემდეგ შვილები გაჩდნენ და...

***– საიდან გაქვს ასეთი ლამაზი თმა? სერიოზული კითხვაა.***

– კარგი გენების დამსახურებაა.

***– როჯერ ამდენს დაფრინავ და გაქვს თუ არა საყვარელი თვითმფრინავი ამორჩეული? რას ფიქრობ, ეირბას ა 380-ზე?***

– მიყვარს გამუდმებული სიახლეები კომპანიებისგან და ა 380-ით ფრენა ყოველთვის სასიამოვნოა.

***– მარიოს ჩოგბურთი გითამაშია ოდესმე?***

– არა, უნდა მეთამაშა?

***– მანამდე ბრისბეინში ყოფილხარ ოდესმე?***

– კი, 1995 წელს ვიყავი, ამჯერად ტურნირში მივიღებ მონაწილეობას.

***– ვინ გინდა შენ განგასახიეროს ფილმის გადაღების შემთხვევაში?***

– მოხარული ვიქნები თუ ლეონარდი დიკაპრიო განასახიერებდა როლს.

***– არის რაიმე შანსი, რომ იარკო ნიემენინთან ერთად ფინელი ფანებისთვის ჰელსინკში ჩაატაროთ საჩვენებელი შეხვედრა?***

– იარკო? მგონი კარგი იქნებოდა.

***– ქიმიის გაკვეთილზე მოვიწყინე, გთხოვ რამე მომწერე.***

– კონცენტრაციას მოუმატე, მე მატჩებისას ტელეფონს არ ვამოწმებ.

***– ერთი სიტყვით აღწერე შენი ფანები***

– იდეალური.

***– საყვარელი „სასუსნავი" ბავშვობაში?***

– შვეიცარიელი ვარ, შოკოლადი.

***–ერთობი ამ კითხვების პასუხის დროს?***

– კი, ეს ძალიან კარგი გასართობია, გინდა ხშირად გავაკეთო?

***– მთელი ღამე გავათენე, რომ დღევანდელი გამოცდისთვის მოვმზადებულიყავი, წარმატება მისურვე.***

– წარმატებები, მეგობარო.

***– იცი, რომ შენი ფანები ზედმეტ სახელად „დორკერერს" გეძახიან შეგნებულად? ჰა ჰა...***

– ჭორები მსმენია.

***– უყურებ სერიალს „მძიმე დანაშაული"?***

– არა, უნდა ვუყურებდე?

***–ყველაზე მეტად ვისთან ერთად გსიამოვნებს წყვილებში თამაში?***

– ჩემს მეგობართან სტანისასლას ვავრინკასთან და ტომი ჰაასთან ერთად.

***– როგორი კალიგრაფია გაქვს?***

– ნახევრად დახრილი, ცოტა უხერხული.

***– როჯერ, შენს სანახავად ტურნირზე მოვდივარ, შავი რფ ქუდი მეხურება და ხელს დაგიქნევ.***

– შესანიშნავია, ვეცდები მეც იქ ვიყო.

***– ფეხბურთელი რომ იყო, რომელ ნომრიან მაისურს ჩაიცმევდი?***

– 10 ნომრიანს.

***– ჯერ მარცვლეულს ყრი ჯამში და მერე რძეს ასხამ თუ რძეში ყრი მარცვლეულს?***

– ჯერ მარცვლეულს ვყრი.

***– 3 სიტყვით აღწერე შენი თავი.***

– კი, არა, კი.

– ალბათ რომის მასტერსის ფინალი, რაფაელ ნადალის წინააღმდეგ, რომელიც 5 საათს გაგრძელდა.

***– მე-5 კლასის მასწავლებელი რომ იყო, რას ასწავლიდი, ჩოგბურთის გარდა, რა თქმა უნდა?***

– გეოგრაფიას.

***– რომ შეგეძლოს, სად ითამაშებდი მატჩს ოკეანის ფსკერზე თუ კოსმოსში?***

– კოსმოსში, მხოლოდ ერთი ბურთი დაგვჭირდებოდა.

***–რას ფიქრობდი, თმა ქერად როცა შეიღებე?***

– ეს სიგიჟე იყო.

***– ერთი რომელიმე სუპერ-გმირის შესაძლებლობა რომ გქონდეს, რა იქნებოდა ის და რატომ?***

– ფრენა ყველაზე მაგარი იქნებოდა.

***– შენს მატჩს ბოგოტაში დავესწარი და მომეწონა, შენ რამ მოგხიბლა ბოგოტაში და აპირებ ისევ ჩამოსვლას?***



***– რომელი მასტერსის სერიის ტურნირი მოგწონს ყველაზე მეტად?***

– უნდა ვაღიარო, რომ შანჰაის მასტერსი განსაკუთრებულია.

***– ლეიკერსის და კობი ბრაიანტის ფანი ხარ?***

– ერთხელ დავესწარი თამაშს, ყოველთვის მიყვარდა მისი ყურება, ფანივით ვარ.

***– ვინ მოგცა პირველად ჩოგანი?***

– ჩემმა მშობლებმა.

***– 2.000 ფუნტი გადავიხადე ერთ წყვილ 287-სერიან ფეხსაცმელში. როგორი ფანი ვარ?***

– ეს ჩემთვის განსაკუთრებული და პირადი ფეხსაცმელია, იმედია მოგწონს. თუ კი ეს დაგამშვიდებს, მეც მხოლოდ ერთი წყვილი მაქვს.

***– ცხოველი რომ იყო, რომელი იქნებოდი?***

– ლომი ან შვეიცარიული ძროხა.

***– არ ვიცი რა გკითხო, ამ მომენტში რა ფერის წინდა გაცვია?***

– „ნაიკის" თეთრი წინდა.

***– საჭმელებიდან რაკლეტი უფრო გიყვართ თუ ფუნდი?***

– რთული არჩევანია, ორივე მიყვარს.

***– რა გაქვს დღეს სადილად?***

– ვეგეტარიანული „სპრინგ" რულონი, სუპი და სალათი.

***– გიყვარს ყინულის ჰოკეი?***

– კი, რომელიც არ დაცურავს.

***– ნილ ჰორანმა შენზე ისაუბრა ერთ-ერთი კონცერტის დროს, როგორი აზრის ხარ ამის შესახებ?***

– გააჩნია, რა თქვა...

***– როგორ გგონია შვეიცარიის ნაკრები იქნება მომავალი წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში?***

– ძალიან დიდი იმედი მაქვს, წინ შვეიცარია!

***– რომ შეგეძლოს ვინმე ცნობილ ადამიანთან ვახშმობა, ვინ იქნებოდა ის და რატომ? მნიშვნელობა არ აქვს ცოცხალი თუ მკვდარი.***

– ნელსონ მანდელა.

***– გაქვს თუ არა დრო, რომ ჩვეულებრივი ადამიანივით, თუნდაც ტელევიზორს უყურო?***

– რა თქმა უნდა, მაქვს.

***– ყველაზე ხანგრძლივი მატჩი გახსოვს, რომელიც კი ოდესმე გითამაშია?***

– მადლობა რომ მოხვედი, მაყურებელი ყველაზე ხმაურიანი იყო, რაც კი ოდესმე მინახავს.

***– და ლებრონზე რას იტყვი?***

– ლებრონი დიდებული კალათბურთელია, რამდენიმე წლის წინ ვნახე ერთხელ მისი თამაში მაიამიში.

***– ახლა აღმოვაჩინე, რომ როჯერ ფედერერი და რაფაელ ნადალი ერთმანეთის მიმდევრები არ არიან.***

– ესპანური ცუდად ვიცი, მაგრამ დავიწყებ მისი ტვიტერის კითხვას.

***– როჯერ, რას იყენებ ჩვენი კითხვების საპასუხოდ? ლეპტოპს თუ აიპადს?***

– ლეპტოპს.

***– ჩემს ლეკვს თითქმის როჯერი დავარქვი, მაგრამ ტომასმა უფრო ადრე მიპასუხა და გაჯობა. ვწუხვარ.***

– მგონი შენს ლეკვს მეგობარი სჭირდება.

***– შემდეგ რომელი ტურნირის თამაშს აპირებ?***

– ბაზელში მიმდინარე ტურნირი, შვეიცარიაში

***– ოდესმე ისე ძლიერად დაგირტყამს ბურთისთვის, რომ პინგვინად გადაქცეულიყო?***

– დავიბენი...

***– რას ფიქრობ ხუან მარტინ დელ პოტროზე?***

– ის დიდი ჩოგბურთელი და, დიდებული გამარჯვება მოიპოვა ტოკიოს ტურნირზე.

***– ძალიან მინდა სერევინთან (როჯერის მეუღლე) კარგი მეგობრობა, შეგიძლია სურვილი ამისრულო?***

– ის ახლა ჩემს გვერდით ზის, უცებ გადავეხვევი.

***– ნოვაკის ტვიტერს რატომ არ კითხულობ?***

– სერბული უფრო უარესად ვიცი, ვიდრე ესპანური, მაგრამ წავიკითხავ.

***– ლიონელ მესის გულშემატკივარი ხარ?***

– მესი ყველაფერს კარგად აკეთებს, ის შესანიშნავია.

***– აღიარე რომ „ტვიტერი" ძალიან მაგარია და მასზე დამოკიდებული გახდი, ისევე როგორც ფანებზე?***

– მართლაც შესანიშნავია ფანებთან კომუნკაცია, ძალიან ვისიამოვნე.

# 15 საინტერესო ფაქტი ფეხბურთის ისტორიაში

მსოფლიო ფეხბურთი უსაზღვროდ მრავალფეროვანი და საინტერესოა. აქ როგორც პარადოქსულ, ასევე კურიოზულ მომენტებსაც შეხვდებით. წარმოგიდგენთ მსოფლიო ფეხბურთის 15 საინტერესო ფაქტს.

1. 1863 წელს ფეხბურთის ასოციაციაში არსებობდა დებულება, რის მიხედვითაც, ყოველ გატანილ გოლზე, მოთამაშე გუნდებს კარი უნდა შეეცვალათ.

2. 1933 წლამდე ფეხბურთელებს მაისურზე ნომრები არ ეწერათ, ნომრიანი მაისურები ინგლისის თასის ფინალზე გამოჩნდა. „ევერტონის" მოთამაშეებმა მაისურებზე დაიწერეს 1-დან 11-მდე ციფრები, ხოლო „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელებმა – 12-დან 22-მდე.

3. ყველა გუნდს, რომელიც საფეხბურთო მოედანზე გადიოდა, სურდა „სწრაფი გოლის" გატანა. გატანილი ბურთის შემდეგ, თამაში უფრო სწრაფი და გახსნილი ხდებოდა. ყველაზე სწრაფი გოლი კი 1995 წელს „ედელაიდ სიტის" ავსტრალიელმა ფეხბურთელმა დამეინ მორიმ „სიდნეი იუნაიტედის" კარში მსაჯის სასტვენიდან 3,68 წამში გაიტანა.

4. ყველა ქვეყანას, რომელიც უმაღლესი დონის ფეხბურთს აჩვენებს, უნდა ჰქონდეს ელიტარული კლასის საფეხბურთო მოედანი. ყველაზე ძვირადღირებული სპორტული მოედანი ინგლისური „უემბლია", რომელიც 2007 წელს ძველი არენის ადგილას ააშენეს. სამუშაოები 1 მილიარდი დოლარი დაჯდა. სტადიონს გადახურვის ფუნქციაც აქვს. საქმე იმაში გახლავთ, რომ არქიტექტორებმა მოედანი იმიტომ გადახურეს, რომ საფარი ზედმეტი დატენიანებისგან დაეცვათ. სტადიონი საფეხბურთო მატჩების გარდა, ცნობილი ვარსკვლავების კონცერტებსაც მასპინძლობს და 90,000 მაყურებელს იტევს.

5. ყოველთვის არა, მაგრამ ფეხბურთელები საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, მწვრთნელებად იწყებენ მუშაობას. მაგრამ დიდებული მწვრთნელები ზოგჯერ ოცნებობდნენ გამხდარიყვნენ საუკეთესო მოთამაშეები. ოცნება, რომელიც არასდროს ახდება. მაგალითად, ჟოზე მოურინიო, ერთ-ერთი საუკეთესო ინგლისური კლუბის, „ჩელსის" მთავარი მწვრთნელია, თუმცა მან ვერ შეძლო გამხდარიყო ფეხბურთელი, რადგან მას ამისთვის საჭირო უნარი და შესაძლებლობები არ გააჩნდა. სწავლობდა საფეხბურთო სკოლაში, თამაშობდა რამდენიმე ახალგაზრდულ გუნდში, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ მისგან პროფესიონალი ფეხბურთელი ვერ დადგებოდა. ოჯახში ფეხბურთი არ უყვარდათ და ამიტომ ჟოზე ბიზნესსკოლაში შეიყვანეს, მაგრამ მოუმ სკოლა მალევე მიატოვა და ლისაბონში ფიზიკური აღზრდის ინსტიტუტში ჩააბარა, სადაც მიხვდა, რომ თავისი მოწოდება იპოვა. არც შემცდარა, ორჯერ დაასახელეს ევროპის საუკეთესო მწვრთნელად, ერთხელ უეფას წლის მწვრთნელად, ორჯერ „ვორლდ სოკერ მაგაზინმა" წლის საუკეთესო სპეციალისტის წოდება მიანიჭა. ჯილდოები საკმარისად აქვს, მაგრამ ამას პორტუგალიელისთვის მნიშვნელობა არ აქვს. მისთვის მთავარია გუნდმა, რომლის ხელმძღვანელიც თავადაა, ყველა სიმაღლე დაიპყროს.

6. თქვენი ყურადღება მინდა ერთ საინტერესო და უცნაურ საფეხბურთო მოედანზე გავამახვილო. სინგაპურში ააშენეს მცურავი სტადიონი, რომლის მოედანი წყალზეა, ხოლო ტრიბუნები ნაპირზე. სტადიონი მარინა ბეიზე მდებარეობს და 30.000 მაყურებელს იტევს. მაყურებელსა და მოედანს შორის ფორმულა 1-ის ტრასაა, სადაც მუდმივად რბოლები და შეჯიბრებები ტარდება.

7. 1994 წელს აღსანიშნავი გახდა მატჩი კარიბის თასის გათამაშებაში ბარბადოსსა და გრანადას შორის. იმისთვის, რომ ბარბადოსი შემდეგ ეტაპზე გასულიყო, 2 ბურთი უნდა გაეტანა. მატჩი 2:1 დასრულდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დამატებითი დრო დაინიშნებოდა. ვინც პირველი გაიტანდა გოლს, ის ორად ითვლებოდა. ამიტომ გრანადამ გადაწყვიტა თამაშის ბედი, მნიშვნელობა არ ჰქონდა რომელ კარში გაიტანდა გოლს. საბოლოოდ კი ბარბადოსის მოთამაშეებს ორივე კარის დაცვა მოუხდათ, რადგან დიდი შანსი იყო, ავტოგოლი მიეღოთ. თასი ბარბადოსს გადაეცა.

8. გერმანიის საფეხბურთო ისტორიაში მიუნჰენგლადბაჰის „ბორუსია", დორტმუნდის „ბორუსია" და მიუნჰენის „ბაიერნი" თამაშში 10 ბურთზე მეტი გოლით შევიდნენ. ასეთი მატჩი 6 იყო. პირველი 1967 წელს, როდესაც მიუნჰენგლადბაჰის „ბორუსიამ" „შალკეს" 11 გოლი გაუტანა, იმავე წელს იმავე კლუბმა სხვა „ბორუსიას" 10 გოლი გაუტანა. 1971 წელს „ბაიერნმა" დორტმუნდელთა კარი 11-ჯერ აიღო. 1978 წელს კი სენსაცია დაფიქსირდა – „ბორუსია"(მ)-„ბორუსია" (დ) – 0:12. 1982 წელს დორტმუნდის „ბორუსიამ" „არმინიას" წინააღმდეგ შეხვედრაში ერთი ბურთი მიიღო და 11 გაუტანა. ორი წლის შემდეგ კი მიუნჰენგლადბაჰის გუნდმა „აინტრახტის" კარი 10-ჯერ აიღო. მეოცე საუკუნის ბოლოს კი, „ბორუსიას" „გოლების ქარხანა" უწოდეს...

9. ინდოეთში, მადრასის შტატში სპილოების ფეხბურთი იმართება. სპილოებს სპეციალური ბურთი და მსაჯები ჰყავთ, რომლებიც აღელვებულ სპილოებს ერთმანეთს აშორებენ.

10. 1992 წელს იტალიაში სკანდალი აგორდა, რაშიც გარეული დიეგო მარადონა აღმოჩნდა. არგენტინელს კოკაინის მიღების გამო საფეხბურთო მოედანზე 15 თვით გასვლა აუკრძალეს. ფეხბურთელს ასევე 14-თვიანი პატიმრობაც შეუფარდეს.

11. 1999 წელს ინგლისურ ფეხბურთში უპრეცედენტო შემთხვევა დაფიქსირდა. გრემ რიხი, რომელიც „ჩელსის" მწვრთნელი გახლდათ, ციხეში აღმოჩნდა. მას სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა 15 წლის გოგონასთან.

12. ოოო... ლეო მესი იცის ყველამ, ვისაც არასდროს უნახავს ფეხბურთი და საერთოდ წარმოდგენაც კი არ აქვთ ამ სპორტზე. ცოტამ თუ იცის, რომ ლეოს 11 წლის ასაკში ჰორმონების დეფიციტი დაუდგინეს. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მესი „რივერ პლეიტის" გუნდში ვერ მოხვდა. ეს კი არგენტინის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი გახლავთ. გუნდს არ შეეძლო გადაეხადა პატარა ლეოსთვის წელიწადში 90.000 ევრო, რომელიც მესის სამკურნალოდ სჭირდებოდა. მაგრამ ლიონელის ცხოვრების გზაზე „ბარსელონა" გამოჩნდა, რომელმაც ფეხბურთელს ევროპაში საფეხბურთო სამყაროს კარი გაუხსნა და მისი მკურნალობაც საკუთარ თავზე აიღო. დღეს კი, ლეო იმავე დაავადებით დაავადებულ ბავშვებს მკურნალობს.

13. ყოველი გუნდისთვის დიდი წარუმატებლობაა მატჩის დროს მოთამაშის დაკარგვა. ყველაფერში დამნაშავე კი წითელი ბარათია. ერთხელ ესპანეთის მეორე ლიგის მატჩის დროს, ფეხბურთელებმა ბუნტი წამოიწყეს. ესპანელი ფეხბურთელები, როგორც ჩანს, ტემპერამენტიანები არიან, მსაჯმა კი გადაწყვიტა თავისი უფლება გამოეყენებინა და წითელი ბარათი ამოიღო. არბიტრმა მოედანზე მყოფ ოცდაორივე ფეხბურთელს წითელი ბარათი უჩვენა. ყველაფერი კი მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე მოხდა. მსგავსი სიტუაცია განმეორდა არგენტინაში, სადაც „კლაიპოლი"-„ვიქტორია არენასი" ხვდებოდნენ ერთმანეთს. ყველაფერი მსაჯის ნაჩვენებ 2 წითელ ბარათს მოჰყვა. გაძევებული ფეხბურთელების გასვლამ უწესრიგობა გამოიწვია, რასაც მსაჯის მხრიდან 36 წითელი ბარათი მოჰყვა. არბიტრმა ამჯერად სათადარიგო ფეხბურთელებიც და მწვრთნელებიც გააძევა. შემდეგ ეს ბარათები გააუქმეს და მატჩიც ბათილად ცნეს.

14. გერმანიაში არსებობს ლეგენდა, რომ ჰიტლერის საყვარელი კლუბი „შალკე 04" 1933 წლიდან 11 წლის განმავლობაში 6-ჯერ გახდა გერმანიაში საუკეთესო და ერთხელ ქვეყნის თასიც მოიპოვა.

15. პირველი „ოქროს ბურთი" სტენლი მეტიუზმა მიიღო, რომელიც ინგლისური „ბლექპულის" თავდამსხმელი გახლდათ. საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებისას, მეტიუზი 49 წლის იყო.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# რატომ შეაჩერა სასამართლომ მაუწყებლის გენერალური დირექტორის პოსტზე გამოცხადებული კონკურსი

შორენა გონგლაძე

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელი ემზარ გოგუაძე სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მაუწყებლის გენერალური დირექტორის პოსტზე გამოცხადებული კონკურსი შეაჩერა, დიდ ტყუილს უწოდებს.

როგორც გოგუაძემ „პრაიმტაიმის" პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, ეს არის ტყუილი, რომელსაც ცხრათავიანი დევი ვერ გაბედავდა.

– როგორც ჩანს, კარუსელს, რომელიც სამეურვეო საბჭოს ირგვლივ ტრიალებს ბოლო არ უჩანს. ვილაცამ ჩათვალა, რომ წერა-კითხვა არ ვიცით, ეს განცხადება ეხება სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც დაკავშირებულია გენერალური დირექტორის არჩევნებთან დაკავშირებული კონკურსის შეჩერებაზე. თქვენთვის ცნობილია, ჩვენი ყველა სხდომა იწერება და იტვირთება. სასამართლოს მუხლში წერია, რომ სხდომას რვა წევრი არ ესწრებოდა, რაც სრული აბსურდია. მინდა ვთქვა, რომ ნატალი დვალი უკვე ჩამობრძანებული იყო თბილისში, ის ესწრებოდა სხდომას და თავის გადაწყვეტილებას აწერს ხელს. ეს არის დიდი ტყუილი, რომელსაც ცხრათავიანი დევი ვერ გაბედავდა. რა კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს ამ მოქმედებას, ეს მე სასამართლოსთვის მიმინდვია, – აცხადებს გოგუაძე და დასძენს, რომ სასამართლომ უნდა მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება.

# რუსეთი უკრაინას სანქციებით ემუქრება

რუსეთის პრემიერ-მინისტრის პრესმდივნის ნატალია ტიმაკოვას განცხადებით, გაზის კონტრაქტის ცალმხრივად გადახედვის მცდელობას იურიდიული შედეგები მოჰყვება და შესაძლოა, უკრაინის წინააღმდეგ სანქციები იქნას გამოყენებული. მისივე თქმით, უკრაინის მუქარა არადამაჯერებლად და არაკორექტულად გამოიყურება.

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ნიკალაი აზაროვმა განაცხადა, რომ უკრაინამ შესაძლოა, უახლოეს რამდენიმე წელიწადში რუსეთიდან გაზის იმპორტზე სრულად თქვას უარი, თუ გაზის კონტრაქტი არ გადაიხედება. მისივე თქმით, უკრაინა მზადაა, კონტრაქტის აბსურდულობა დაამტკიცოს, თუ რუსული მხარე საქმის სასამართლოში განხილვის ინიციატივით გამოვა.

ამ ფონზე, გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარის შტეფან ფულეს განცხადებით, ევროპა დაეხმარება უკრაინას განვითარებაში. მისი თქმით, ფინანსური დახმარების მისაღებლად საჭიროა მხოლოდ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულება. საუბარია უკრაინის კანონდმებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებაზე. ფულეს თქმით, ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში ევროპა უკრაინას 610 მილიონ ევროს გამოუყოფს.

ევროკომისარის თქმით, ეს თანხა ისევ საკანონმდებლო ცვლილებების განსახორციელებლად უნდა დაიხარჯოს, რადგან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, კანონმდებლობაზე მუშაობა კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს.

ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტი ვილნიუსში, ნოემბერში გაიმართება, სადაც საქართველომ და მოდლოვამ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების, ტექსტის პარაფირება უნდა მოახდინონ, ხოლო უკრაინამ ხელი უნდა მოეწეროს ამ ხელშეკრულებას.

შეგახსენებთ, რომ რუსეთმა დაიწყო შანტაჟისა და მუქარის ფართომასშტაბიანი კამპანია მოლდოვისა და უკრაინის წინალმდეგ რათა ჩაშალოს ამ ქვეყნების მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებების გაფორმება. რუსეთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისაგან კატეგორიულად ითხოვს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას. რუსეთმა აკრძალა მოლდოვური ღვინოები და უკრაინული კანფეტები, მოლდოვას დაემუქრა დაშლით, ეთნიკური კონფლიქტების განახლებით და ზამთარში სიცივისაგან გაყინვით, უკრაინული ტვირთის იმპორტს საზღვარზე პრობლემები შეუქმნა რითაც 3 მილიარდდოლარიანი ზარალი მიაყენა უკრაინის ეკონომიკას. პუტინმა ღიად განაცხადა, რომ თუ ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან შეთანხმება გაფორმდება, რუსეთი უკრაინასა და მოლდოვას პარტნიორების სიიდან ამოშლის და ეს მათ ძალიან ძვირი დაუჯდებათ. პუტინმა მოლდოველების გასაგონად ისიც განაცხადა, რომ მათ ღვინოს ევროკავშირში არავინ შეუშვებს და მათ ღვინის ბოთლებს ევროპელი ფერმერები სათითაოდ დაამსხვრევენ.

# შოთა მალაშხია: „ზაქარეიშვილი პირდაპირ ასრულებს რუსეთის დავალებებს"



შორენა გონგლაძე

ხელისუფლება, გარდა იმისა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში წაყრუების პოლიტიკას აქტიურად მიმართავს, ბოლო დროს კურიოზულ სიტუაციაშიც ხშირად ხვდება. ამგვარი რამ ადამიანს შესაძლოა ორი მიზეზით დაემართოს, ან უცოდინარობით, ანდა გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნით. ამ შემთხვევაში საინტერესოა პაატა ზაქარეიშვილის განცხადება მავთულხლართების გაბმასთან დაკავშირებით. როგორც ზაქარეიშვილი ირწმუნება აფხაზებმა და ოსებმა საქართველოსკენ ტოტალური მოძრაობა დაიწყეს, რუსების მიერ გავლებული მავთულხლართები კი სწორედ ამ მიგრაციის შესაჩერებლად კეთდება. ამის შესახებ განცხადება ზაქარეიშვილმა ინგა გრიგოლიას თოქშოუ „დიდ პოლიტიკაში" გააკეთა.

– ტოტალურად დაიწყეს ოსებმა და აფხაზებმა ჩვენკენ წამოსვლა. ჩემს კაბინეტში ბევრი ოსი დადის, მავთულხლართებში ძვრებიან და მოდიან. ფაქტია, რომ ერთი ათად გაიზარდა მათი მოძრაობა. კარგად ჟღერს ცხინვალში ივანიშვილის გვარი. არც ერთხელ არ ყოფილა ოსების, ან აფხაზების მხრიდან ივანიშვილის ლანძღვა. ჩვენ „ვაშიშვლებთ" რუსულ პოლიტიკას ისე, რომ ჩვენ არ ვზარალდებით, – ამბობს ზაქარეიშვილი. ზაქარეიშვილის ეს ვერსია ისევე რთული ასახსნელი და გამოსაცნობია, როგორც ის, თუ რატომ დაიწყეს რუსებმა მავთულხლართების გავლება ახლა და არა მაგალითად სამი ან ხუთი წლის წინ.

ზაქარეიშვილის ეს განცხადება შეუმჩნეველი არც ნაციონალურ მოძრაობას დარჩენია, სახელმწიფო მინისტრის ამ განცხადებას ნაციონალური მოძრაობის წევრი, შოთა მალაშხია გამოეხმაურა. მალაშხიას განცხადებით, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ან პირდაპირ რუსეთის დავალებებს ასრულებს, ან არ ერკვევა პოლიტიკაში. მისი თქმით, ზაქარეიშვილის განცხადებები გასაკვირი არ არის, მაგრამ სამწუხაროა, რომ ბიძინა ივანიშვილიც იგივე პოზიციაზეა.

– პაატა ზაქარეიშვილის განცხადებები მიუთითებს იმაზე, რომ ის ან პირდაპირ ასრულებს რუსეთის დავალებებს, ან არ ერკვევა პოლიტიკაში. თქვენ შეგიძლიათ მისი ის ციტატები ნახოთ, სადაც ამბობს, რომ აფხაზებს ეკუთვნით დამოუკიდებლობა, როგორც სხვა ერებს. ის ცუდად მოიხსენიებს ეუთო-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც არ ცნობდნენ ამ ტერიტორიებზე არჩევნებს. მეტიც, თვითონ ზაქარეიშვილი იყო ის ადამიანი, რომელიც საუბრობდა, რომ რკინიგზა უნდა გაიხსნას აფხაზეთში და ორი კვირის შემდეგ ეს ყველაფერი უარყო. ზაქარეიშვილის კონტექსტი არ არის გასაკვირი, მაგრამ სამწუხაროა, რომ ბატონი ივანიშვილიც იგივე პოზიციაზეა – აცხადებს მალაშხია, მისივე თქმით, საქართველომ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. პაატა ზაქარეიშვილს ამ შემთხვევაშიც განსხვავებული პოზიცია აქვს, მისი თქმით, ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს მსოფლიოს, თუ რამდენად დიდი წნეხის ქვეშ არის საქართველოს მთავრობა არა მხოლოდ რუსეთის მხრიდან, რომელიც დაინტერესებულია, რომ ჩვენ არ მივიღოთ მონაწილეობა ოლიმპიადაში და ამისთვის მუდმივად ახორციელებს პროვოკაციებს, არამედ სამოქალაქო საზოგადოების მხრიდანაც.

– მე მესმის მათი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ მეჩირალდნის გამო ყოვლად დაუშვებელია, მივიღოთ გადაწყვეტილება სოჭის ოლიმპიადაში არმონაწილეობაზე, – აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

## ივანე ჭუმბურიძის მემკვიდრეთა საყურადღებოდ

**05.04.2013 გარდაცვლილი ივანე ჭუმბურიძის (დაბადებული 26.01.1974 წ., პირადი №01024032821) სამემკვიდრეო საქმე იწარმოება ნოტარიუს ოთარ ზოიძესთან (თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№21, მე-4 სართული). დაინტერესებულმა პირებმა ნოტარიუს ოთარ ზოიძეს მიმართეთ 01.1.2013 წ.-მდე.**

## განცხადებები

- გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.
- მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.
- გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.
- ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## ორშაბათი 14 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.00** მცხეთობა (პ/ტრ) **14.00** დ/ფ "ჩემი პატრიარქი" **14.30** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **16.55** ანონსი **17.00** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **18.55** ანონსი **17.55** ტ/სერ. "ზღვარს მიღმა" **21.00** მხ/ფ "**ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა**" **23.00** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **00.20** მხ/ფ "**ენდე საკუთარ თავს**" (ა.ბანდერასი)

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "ათენი" **09.00** ქართული დ/ფ "დედაო ღვთისავ" (რეჟ: მ. ბორაშვილი) **10.00** მცხეთობა (პ/ტ) **14.00** ქართული დ/ფ "გზა მაცხოვრისა" (რეჟ. მ. ბორაშვილი) **15.00** **ფეხბურთი** – ევროპის **21** წლამდე ფეხბურთელთა შესარჩევი ეტაპის მატჩი: **საქართველო – შოტლანდია** I-II ტაიმი (პ/რ) **17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა". **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "ეპიცენტრი" (პ/ე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** ფულთან თამაში (05.10.13 გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა — პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** EMERGENCY — სასწრაფო დახმარება **00.20** მხ/ფ "**ანა ნიკოლი**"

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** ნიჭიერი - დაწყება **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **26 02.00** მხ/ფ **04.00** კურიერი დაიჯესტი

**06.00, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.30** მხ/ფ "**მაგდანას ლურჯა**" **07.40** დოკ/ფ "მცხეთა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00** სვეტიცხოვლობა (ტრანსლაცია მცხეთიდან) **13.00** დოკ/ფ "შემოდგომა" **13.30** დოკ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.00** განთიადის სტუმარი **15.35** დოკ/ფ "მცხეთა" **15.55** კონცერტი - პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55, 00.25** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ფიროსმანი**" **20.40** ძილი ნებისა **21.15** "თვენი" - მაცხოვრის კვართი **21.25** სღვთისმეტყველო საუბრები **22.30** დოკ/ფ "ვლაქერნას სამოსელი" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. IV **23.40** დოკ/ფ "სვეტიცხოველი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ხევსურული ბალადა**"

**მაესტრო** **7.00" 0.45" 2.30" 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ. **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15** **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** (გამ). **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი/(გამ.). **16.00** **სერიალი "რთული გზა"**. **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ.). **19.00** **სერიალი "ასი"**. **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

## სამშაბათი 15 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** საბ/ფ "კიტი კიტრიჯი: ამერიკელი გოგონას ოცნება" **12.40** მხ/ფ "**ვეტერინარი**" **14.30** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" **17.55** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **19.40** "ეთნოგრაფიული ჩანახატები" **21.00** მხ/ფ "**ყოველთვის თქვით "დიახ"**" (ჯ.კერი) **22.50** ფეხბურთი.მსოფლიოს **2014** წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ესპანეთი_საქართველო. (გ/ჰ) **00.20** მხ/ფ "**ჯადოსნური შარვალი 2**" (ა.ფერერა)

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "კატმანდუ" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** კონცერტი:"თემურ თათარაშვილი" **2** ნაწილი (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** ახალი ქართული ხმა **00.00** მხ/ფ "**ჩემი სიძულვილის 10 მიზეზი**" (ჰ.ლეჯერი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მხ/ფ "**ხევსურული ბალადა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. IV **11.05** დოკ/ფ "ქაქუცა ჩოლოყაშვილი" **11.15** სღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ფიროსმანი**" **13.30** ქართული მულტფილმი **13.50** დოკ/ფ "ჩემი ბიძა პეტრე ოცხელი" **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - ანს."ნიჟინარი და სახიობა" **17.05** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** მოკ/ფ "**ქორწილი**" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დოკ/ფ "წმინდა მოწამენი დავითი და კონსტანტინე" **21.30** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი - ელენე კავლელაშვილი "წილკნის ღვთისმშობლის ხატი" **23.30** ირაო **23.50** ფოტოგალერეა **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" I ნაწ. **02.15** ნიამორი

**მაესტრო** **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ. **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00** **სერიალი "რთული გზა"**. **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ). **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00** **სერიალი "ასი"**. **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.).

## ოთხშაბათი 16 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** საბ/მხ/ფ "**მარსიანელი ბავშვი**" **12.40** მხ./ფ "**ვეტერინარი**" **14.30** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** დ/ფ "თანამედროვე იარაღი" **17.55** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.00** "ჩვენი ეზო" **19.30** "მეხსიერება" **21.00** მხ/ფ "**პრესტიჟი**" (ჰ.ჯეკმანი) **23.20** მხ/ფ "**უკანასკნელი სამურაი**" (ტ.კრუზი) **00.20** ფილმის გაგრძელება

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "ეპიცენტრი" (პ/ე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** ღამის შოუ (06.10.13 გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ: ეკა ხოფერია (პ/ე) **00.00** მხ/ფ "**ერთხელ რომში**" (კ.ბელი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** "ნანუკას შოუ" **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.)

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული ხელოვნება **10.10** ჩვენი ფონდი **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** ღია აუდიტორია **12.50** მოკ/ფ "**ქორწილი**" **13.10** ქართული მულტფილმი **13.40** დოკ/ფ "ნაძარცვის კვალდაკვალ" **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.50** კონცერტი - ანს. "ნადი,ანჩისხატის გუნდი" **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **21.55** ფოტოგალერეა **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "განცხადებული სასწაულები" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" II ნაწ. **02.15** ნიამორი

**მაესტრო** **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ. **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00** **სერიალი "რთული გზა"**. **12.50** თოქ-შოუ "არგუმენტები"(გამ) . **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.). **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00** **სერიალი "ასი"**. **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## ხუთშაბათი 17 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** ან/ფ "სუპერმენი და ბეტმენი-აპოკალიფსი" **12.40** მხ/ფ "**სამყარო მშვენიერია**" **14.00** დ/ფ "ჟოზეფ მალორ უილიამ ტერნერი" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** დ/ფ "სამხედრო საზღვაო ავიაცია" **17.55** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.00** "სამხედრო გადაცემა" **19.30** დ/ფ "სამეფო სასტუმრო" **21.00** პრეზიდენტობის კანდიდატთა დებატები (პ/ე) **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.50** მხ/ფ " **ჰაჯი მურატი – ფილმი რომელიც არ დაიდგა**"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "ბრიუსელი" **14.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **16.00** **ფეხბურთი** – ევროპის **17** წლამდე ფეხბურთელთა შესარჩევი ეტაპის მატჩი: **საქართველო – სან-მარინო** I-II ტაიმი (პ/რ) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ. **14.40, 15.05** კაცების შოუ **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ "**საბილიარდო**" (ვ.რეიმსი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** პროფილი (**1** სარეკლამო ჭრა) **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.)

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05,18.05, 21.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ლექსით ქებათა ქება **10.45** დოკ/ფ "განცხადებული სასწაულები" **11.25, 14.45** ფოტოგალერეა **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **13.30** ქართული მულტფილმი **13.45** დოკ/ფ "შორეულთა სიახლოვე" **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი -"ჩვენებურები" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** მოკ/ფ "**სერენადა**" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "თვენი"- წმინდა ევდემოზ კათოლიკოსი **23.25** "ზღვარზე" გად. I **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**თხუნელა**"

**მაესტრო** **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ. **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00** **სერიალი "რთული გზა"**. **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ). **17.45, 21.30, 0.30, 6.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 5.45** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00** **სერიალი "ასი"**. **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.).

## პარასკევი 18 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10** საბ. ან/სერ. "დაქ დოჯერსი" **10.15** საბ/მხ/ფ "**იქ სადაც მონსტრები ცხოვრობენ**" **12.40** მხ/ფ "**სუპერმენის დაბრუნება**" **15.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **17.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" **17.55** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** "შეხვედრები მცხეთაში" **19.30** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **21.00** პრეზიდენტობის კანდიდატთა დებატები (პ/ე) **23.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) **23.45** მხ/ფ "**სირიანა**" (ჯ.კლუნი) **00.20** მხ/ფ "**კიბორჩხალა სადილზე**"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "ეპიცენტრი" (პ/ე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40** იმედის გმირები (06.10.13 გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ — ღია ეთერი (პ/ე) **00.00** სერ."**ჩემი ამბავი**" **01.00** მხ/ფ "**კასანდრას ოცნება**" (კ.ფარელი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** მხ/ფ "**თხუნელა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** მოკ/ფ "**სერენადა**" **11.05** "თვენი"- წმინდა ევდემოზ კათოლიკოსი **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" **13.25** ქართული მულტფილმი **13.50** დოკ/ფ "პირველად იყო სიტყვა" **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.35** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.00** კონცერტი - ბიძინა კვერნაძე (სიღნაღი) **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ხევისბერი გოჩა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ "**პეიტარი**" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**აურზაური სალხინეთში**"

**მაესტრო** **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ. **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00** **სერიალი "რთული გზა"**. **12.30** ჩემი ქორწილი. **13.20** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.). **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00** **სერიალი "ასი"**. **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.).

## შაბათი 19 ოქტომბერი

**08.00** ან/ფ "დათვი იოგი" **10.00** "პეპე და მეგობრები" **11.00** საბ.ან/სერ "დაქ დოჯერსი" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** კონცერტი: "გეორგიკა" "ადიო" "შინი" **14.10** ფილმი ნოსტალგია: "**ბუში**" (ს.მარსო) **16.30** ქართ. მხ/ფ "**ხარება და გოგია**" **18.00** "ეტალონი" **18.55** "გურმანია" **19.30** დ/ფ "ისპაჰანის სამეფო მეჩეთი" **20.50** "სოციალური თოქ შოუ" (პ/ე) **22.20** "წითელი ზონა" **23.20** მხ/ფ "**მიცემული სიტყვა**" **01.00** დ/ფ "ეფლი"

**08.00, 10.00, 16.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "დუბლინი" **11.30** მხ/ფ "**საოცარი მისტერ ბარნანდერი**" (ლ.ჯეფრისი) **13.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ავსტრალია" **14.00** მხ/ფ "**მამიკოები**" (პ.რიშარი) **17.00** მხ/ფ "**ყოველთვის თქვით "დიახ"**" (ჯ.კერი) **19.00** მხ/ფ "**როგორ მოკლა მხდალმა რობერტ ფორდმა ჯესი ჯეიმსი**" (ბ.ბიტი) **22.00** ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" **6** სერ. **23.00** მხ/ფ "**შემოჭრა**" (ნ.კიდმანი)

**08.00** ან/ფ ავატარი" **09.00** მხ/ფ "**ძმა დათუნია-2**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ეკოვიზია **12.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" **10** სერ. **13.00** სერ."**ჰანა მონტანა**" **14.30** ახალი ქართული ხმა (გ/ჩ) **17.50, 19.05** სერ. "**უდანაშაულო**" **20.55** ფულთან თამაში **22.00** ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" **23.00** კაცების შოუ **00.00** სერ."**კამორას კლანი**" **01.00** მხ/ფ "**ოქროს ყვავილის წყევლა**" (ლ.გონგი)

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.00** მხ/ფ **11.00** შიშის ფაქტორი **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** შერეკილები. **15.30** "ნანუკას შოუ". გ/ჩ **18.50** გააცინე და მოიგე. **20.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **23.00** რა? სად? როდის? **00.00** პოკერი **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** დოკ/ფ "ანტიკური ქალაქები" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "ხევისბერი გოჩა" **13.30** სათავეებთან **14.05** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05** ოპერა "**სევილიელი დალაქი**" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** "თვენი" - წმინდა მოციქული თომა **22.35** დოკ/ფ "კარიბჭე" **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ქართული ხმები **00.35** დროის ჩანაწერები **01.25** მხ/ფ "**ანა და მეფე**" I ნაწ.

**მაესტრო** **7.00, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** ფარული კამერა. **8.00** მულტფილმი ტრონი. **9.30** **სერიალი "ასი"** (გამ.). **10.30** გადაცემა "პულსი". **11.00** **სერიალი "ასი"** (გამ.). **11.55, 14.55, 17.55, 20.55** კვირის აზრები. **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.30, 15.30, 19.00** **სერიალი "ასი"**. **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00** **სერიალი "სკანდალი"**. **0.00** ჩემი ქორწილი (გამ). **1.00, 3.00, 5.30** "კინო მაესტროზე".

## კვირა 20 ოქტომბერი

**08.00** საბ/ფ "მელნის გული" **10.00** "ეტალონი" **10.55** საბ. ან/სერ. "დაქ დოჯერსი" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სპექტაკლის დრო" – სამეფო თეატრის სპექტაკლი: "**აქ" ამ სავანეში**" **15.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **16.30** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **17.00** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.30** "ვაშინგტონი დღეს" **18.00** **ფეხბურთი** საქართველოს ჩემპიონატი: "**დინამო**"/თბილისი/ _ "ჩიატურა" /საჩხერე/ (პ/ტრ) **20.30** "პროფესია რეპორტიორი" **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** მხ/ფ "**სიცრუის ერთობლიობა**" (რ.ქროუ) **00.00** მხ/ფ "**დაუპატიჟებელი სტუმრები**"

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "სტოკჰოლმი" **09.00** "ბრიფინგის დრო" (შაბ. გ/ჩვ.) **10.00** დ/ფ "ბრინჯის მფლობელები" **11.00** მხ/ფ "**ნილზის შვილი**" **13.00** დ/ფ "ღვინო და მეცნიერება" **14.00** მხ/ფ "**სუპერმენის დაბრუნება**" **17.00** მხ/ფ "**დაძაბვე გონება**" (ე.ჰეტეუეი) **19.00** დ/ფ "ალენ ბაშუნგი" **20.00** მხ/ფ "**გზა და კავშირი**" (კ.ბეიკონი) **22.00** ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" **7** სერ. **23.00** მხ/ფ "**გამართლებული სისასტიკე**" (ე.ჰარისი)

**08.00** ან/ფ ავატარი" **09.00** მხ/ფ "**პრინცესას დღიურები 2**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" **13.00** სერ."**ჰანა მონტანა**" **14.30** ქ.მხ/ფ "**სხვისი შვილები**" **16.20** რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) **17.40** იმედის გმირები **18.00, 19.05** ცეკვავენ ვარსკვლავები (10.10.13 გ/ჩ) **20.55** ღამის შოუ **22.00** ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" **23.00** რომ გადახვალ, გააჩერე **00.00** სერ."**კამორას კლანი**" **01.00** მხ/ფ "**აუხდენელი ოცნებები**" (ნ.უოთსი) **02.50** მხ/ფ "**აგვისტო**" (ჯ.ჰარტნეტი) (ტიტ.)

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.00** მხ/ფ **11.00** შიშის ფაქტორი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **14.00** შერეკილები. **15.30** ნიჭიერი - გ/ჩ **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **21.00** P.S. **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **23.00** კომედი შოუ **00.30** მხ/ფ

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდა **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** საქართველოს ქალაქები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ჩვენი ტრაპეზი **10.50** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**გაზაფხული გადის**" **13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.00** დოკ/ფ "საქართველოს მფარველი ანგელოზები" **14.20** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** სღვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **19.45** მხ/ფ "**ქალაქი ანარა**" **21.35** ლექსით ქებათა ქება **21.40** კვირიაკე **21.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.30** მხ/ფ "**ანა და მეფე**" II ნაწ.

**მაესტრო** **7.00, 0.30, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** ფარული კამერა. **8.00** მულტფილმი ტრონი. **9.30, 12.30, 15.30, 19.00** **სერიალი "ასი"**. **10.30** გადაცემა "პულსი". **11.00** **სერიალი "ასი"** (გამ). **11.55, 14.55, 17.55, 20.55** კვირის აზრები. **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **18.30, 0.00** "მონიტორი" ჟურნალისტური გამოძიება. **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00** **სერიალი "სკანდალი"**. **1.00, 3.00, 5.30** "კინო მაესტროზე".

## შსს-მ მოზარდის დაჭრაში ბრალდებული პირი დააკავა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა, 1985 წელს დაბადებული გიგა გ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულმა მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს, თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, ურთიერთშელაპარაკებისას 1997 წელს დაბადებული ლევან ხ. ბარძაყის არეში ცივი იარაღით დაჭრა და მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 117-ე მუხლით).

**მედიანიუსი**

## შსს-ს არქივმა და ჩეხეთის საელჩომ ერთობლივი ღონისძიება გამართეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივმა და ჩეხეთის საელჩომ, ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ერთობლივი ღონისძიება გამართეს სახელწოდებით – „პრაღა და თბილისი უშიშროების სამსახურების თვალით“.

ღონისძიება ჩეხეთ-საქართველოს დიპლომატიური თანამშრომლობის ოცი წლისიუბილეს მიეძღვნა და მას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ჩეხეთის ელჩი საქართველოში ივან იესტრჟაბი, ასევე საქართველოს მთავრობის, დიპლომატიური კორპუსისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ქართველი და უცხოელი ისტორიკოსები დაესწრნენ. შინაგან საქმეთა მინისტრმა შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა.

ღონისძიებაზე გამოფენილი იყო გასული საუკუნის საიდუმლო სამსახურების ჩეხეთსა და საქართველოში მუშაობის ამსახველი ბანერები. ამ ბანერებით დამთვალიერებელმა დეტალურად შეიტყო, როგორ უთვალთვალებდნენ და ებრძოდნენ უბრალო მოქალაქეებსა თუ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ განწყობილ დისიდენტებს

უშიშროების სამსახურები. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მიერ მომზადებული წიგნის – „დისიდენტური მოძრაობა ჩეხოსლოვაკიასა და საქართველოში (მოკლე მიმოხილვა)“ პრეზენტაცია. წიგნი სამენოვანია (ქართულ-ჩეხურ-ინგლისური) და დისიდენტური მოძრაობის განვითარებას ეხება. გამოფენა ერთ კვირას გასტანს.

**ნიუსპრესი**

## სამარ ჩოკუტაევზე წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდება

ე.წ „ჯიჰადის ვიდეოხის“ ვიდეობის დამზადებისა და გავრცელების საქმეში ბრალდებულ სამარ ჩოკუტაევზე ახლო მომავალში, სავარაუდოდ, ინტერპოლი წითელი ცირკულარით ძებნას გამოაცხადებს. ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, შესაბამისი მასალები უკვე მზადდება. „ჩვენ ვამზადებთ მასალებს პროკურატურასთან ერთად ინტერპოლისთვის და უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ამ პიროვნების ძებნა წითელი ცირკულურით“ – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

ე.წ „ჯიჰადის“ ვიდეობი ინტერნეტსივრცეში ივნისში გავრცელდა, რომელიც შეიცავს ავღანეთში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალების და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ მუქარას.

საქმის გახსნის შესახებ შსს-მ 3 ოქტომბერს განაცხადა. სამინისტროს ინფორმაციით, ჩატარებული ინტენსიური საგამოძიებო და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად დადგენილია დანაშაულის ჩამდენი პირი – 1989 წლის 6 მარტს დაბადებული ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევი, რომელიც სოხუმში მობილური კავშირგაბმულობის ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობს. მის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე პრიმა მუხლით.

სამარ ჩოკუტაევს ბრალი დაედო „საქვეყნოდ ინფორმაციის გავრცელებაში ტერორისტული აქტის ჩადენისაკენ მოწოდების მიზნით, რაც წარმოშობს ასეთი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს“. მას თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად დაუსწრებლად შეუფარდა პატიმრობა.

**ნიუსპრესი**



## შსს აკადემიაში საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის საბჭოს გაფართოებული სხდომა გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, განახლებულ ფორმატში, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს გაფართოებული სხდომა გაიმართა. საბჭოს შეკრების მიზანს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილება, შედეგებთან ეფექტურად გამკლავება, მეცნიერულად არგუმენტირებული ღონისძიებების წარმოება და შესაბამისი პროგრამების შემუშავება წარმოადგენს. საბჭოს შემადგენლობაში საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში სხვადასხვა სამინისტროს უფლებამოსილი პირები და ქვეყანაში მოღვაწე ცნობილი მეცნიერები და ექსპერტები შედიან. შეხვედრაზე ქვეყანაში არსებული გეოლოგიური საფრთხეები, წყალდიდობებთან გამკლავების, ქიმიურ ინციდენტებზე მონიტორინგის გაძლიერების და სხვა საკითხები განიხილეს. სხდომას ასევე ესწრებოდნენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც კატასტროფების რისკის შემცირების სფეროში გაწეული საქმიანობის შესახებ მოკლე მოხსენებები წარმოადგინეს.

**მედიანიუსი**

# პრემიერ-მინისტრი გაიტაცეს

### პოსტკადაფურ ლიბიაში მოვლენები ტრილერის სტილში ვითარდება

– გატაცებულია ლიბიის პრემიერ-მინისტრი ალი ზეიდანი. ის შეიარაღებულმა პირებმა გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს, – იტყობინება ბი-ბი-სი.

ზეიდანზე თავდასხმა ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში მოხდა. პრემიერს თავს სასტუმროს შენობაში დაესხნენ. ზეიდანთან ერთად გამტაცებლებმა მისი დაცვის ორი წევრიც წაიყვანეს. ტელეარხმა „ალ-არაბიამ“ აჩვენა კადრები, სადაც აღბეჭდილია, თუ როგორ გამოჰყავთ 10 ოქტომბერს უცნობ შეიარაღებულ პირებს სასტუმროდან ზეიდანი.

– პრემიერ-მინისტრი გაიტაცეს მათ, ვინც ცოტა ხნის წინ მუამარ კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძოდა, – ეს ინტერპრეტაცია „ალ-არაბიამ“ გაავრცელა.

ლიბიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ეს აზრი უმალ უარყვეს. მათ დაიწყეს მტკიცება, თითქოს პრემიერ-მინისტრი გატაცებული კი არა, დაპატიმრებულია. რამდენიმე საათის შემდეგ ტრიპოლის პროკურატურამ გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ზეიდანის დაპატიმრების თაობაზე არაფერი იციან.

– პოსტკადაფურ ლიბიაში ქაოსია, – თვლის რადიო „თავისუფლება“.



ალი ზეიდანი ანტიკადაფური ოპოზიციის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა. ის პროფესიონალი დიპლომატია, თავის დროზე იყო ლიბიის ელჩი ინდოეთში. ზეიდანმა სახელი გაითქვა იმით, რომ ადამიანის უფლებების დარღვევის გამო საჯაროდ გააკრიტიკა მუამარ კადაფი. დიქტატორმა ამის სამაგიეროდ ელჩობიდან გადააყენა და სამშობლოში დაბრუნება უბრძანა. ცხადი იყო, რომ ზეიდანს იქ გარდაუვალი დაპატიმრება ელოდა. ამიტომ მან დაბრუნებაზე უარი განაცხადა,

ზეიდანმა მთელი ოცდაათი წელი ემიგრაციაში გაატარა. ის იყო ლიბიის ადამიანის უფლებების დამცველთა ლიგის წევრი, შემდეგ კი ლიბიის ხსნის ეროვნული ფრონტის ერთერთი ლიდერი. ამჟამად ეს ორგანიზაცია პარტიად გადაიქცა და ეროვნულ ფრონტად იწოდება.

ზეიდანი გამოირჩეოდა განათლებით, ინტელექტით, დემოკრატიზმით. როდესაც რეჟიმი დაემხო, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი დაიწყო. ყველა კლანი თუ პოლიტიკური ძალა ხელისუფლებაში „თავისი კაცის“ მოყვანას ცდილობდა. ზეიდანი ერთადერთი იყო, რომელიც ყველა დაპირისპირებულ მხარეს აკმაყოფილებდა.

– მის პრემიერად არჩევამ პოლიტიკური კრიზისი ჩააცხრო, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ზეიდანი ლიბიაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას გულწრფელად ცდილობდა, რაც ძალიან ძნელი იყო. სათანადო ტრადიციების არარსებობა, მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ბანდების თარეში, კლანურობა – ყველაფერი ეს დემოკრატიის მშენებლობას ძალზე აფერხებდა. ზეიდანიც თავის ინტერვიუებში აშკარად აცხადებდა, რომ ქვეყნის მართვა ძალიან უჭირდა, თუმცა მისი გატაცება მაინც სენსაციად იქცა. ზეიდანის უკან ხომ არც კლანები იდგნენ, არც მაფია, არც კორუფცია. პრემიერი შორს იდგა იარაღით ვაჭრობისაგან, ნარკობიზნესისაგან, არც ნავთობთან დაკავშირებულ საეჭვო გარიგებებში მონაწილეობდა.

– ისმის კითხვა, ვის დასჭირდა ასეთი კაცის გატაცება. ახლა მთავარია, ზეიდანი გადარჩეს, – იტყობინებოდა „გერმანული ტალღა“.

პრემიერის გადარჩენის საკითხი კი ფრიად პრობლემატური იყო. დავიწყოთ იქიდან, რომ დანამდვილებით არავინ იცოდა, ის გაიტაცეს, თუ დააპატიმრეს. ლიბიის შინაგან საქმეთა სამინისტრო ამტკიცებდა, რომ პრემიერი დაპატიმრებულია, პროკურატურა კი ამას კატეგორიულად უარყოფდა. უცნობი რჩებოდა ზეიდანის ადგილსამყოფელიც. ზოგიერთმა ჟურნალისტმა ისიც განაცხადა, რომ ზეიდანს იტალიის პრემიერ ალდო მოროს ბედი ელოდა.

– მორო თავის დროზე წითელ ბრიგადებს დაუპირისპირდა, ამის გამო გაიტაცეს და მოკლეს. ზეიდანი სასტიკად ილაშქრებდა ლიბიელი ისლამისტების წინააღმდეგ, ადანაშაულებდა მათ ალ-ქაიდასთან კავშირში. ამ უკანასკნელებმაც შური იძიეს, – განაცხადა ბი-ბი-სი-სთან საუბარში ერთმა ლიბიელმა ჟურმალისტმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

ამ ინფორმაციამ გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია. ყველამ იცოდა, რომ ცოტა ხნის წინ ამერიკულმა სპეცსამსახურებმა ლიბიაში ისლამისტი-აქტივისტი ვინმე ალ-რიბი დააკავეს. მას ბრალი ალ-ქაიდასთან კავშირში დასდეს. შემდგომში გამოძიებამ დაადასტურა, რომ ბრალდება სინამდვილეს შეესაბამებოდა. ამან ლიბიელი ისლამისტები აღაშფოთა.

– რატომაა, რომ ამერიკული სპეცსამსახურები ჩვენს ქვეყანაში ასე თავისუფლად დათარეშობენ? – ასეთი განცხადება ერთ-ერთმა მათგანმა ტელეეთერიდან გააკეთა.

ისლამისტები ამაში პრემიერს ადანაშაულებდნენ. ამავე დროს, ექსპერტები ყურადღებას ამახვილებდნენ ერთ ფაქტზე. ისლამისტებს მომხრეები ლიბიის შინაგან საქმეთა სამინისტროში უხვად ჰყავთ. ფაქტიურად, სამინისტრო ერთიან ორგანიზმს არ წარმოადგენს. აქ სხვადასხვა დაჯგუფების წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. გუშინ ისინი კადაფის რეჟიმს ებრძოდნენ, დღეს ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ერთმანეთს ექიშპებიან.

– დღევანდელი ლიბია აბობოქრებულ მდინარეს მოგვაგონებს. კადაფის რეჟიმის დამხობასთან ერთად, ძველი სახელმწიფო სტრუქტურები (არმია, პოლიცია, პროკურატურა) დაინგრა. ქვეყანაში დაიწყო ქაოსი. ანტიკადაფური აჯანყების დროს ბევრმა მოქალაქემ იარაღს მოჰკიდა ხელი. ახლა ბევრ მათგანს აღარ სურს, მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდეს. იარაღი მათთვის ფულის სწრაფად და იოლად შოვნის საშუალება გახდა, – ამბობს ბი-ბი-სი.

ასეთ ხალხს ინტენსიურად იყენებენ ტომის ბელადები, სხვადასხვა მიმართულების პოლიტიკოსები თუ უბრალოდ ავანტიურისტები და კრიმინალები. ქაოსსაც ბოლო არ უჩანდა. ლიბიის შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალური პროგრამა შეიმუშავეს, თუ როგორ უნდა მოხდეს ყოფილი პარტიზანების მშვიდობიან ცხოვრებაში დაბრუნება. ამ მიზნით შსს-მ დედაქალაქში ერთ-ერთი ანტიკადაფური ისლამისტური დაჯგუფების მებრძოლები მოიწვია და მათი დახმარებით დედაქალაქში წესრიგის აღდგენა სცადა, პრემიერის გატაცების შემდეგ კი ხმამაღლა გამოითქვა ვერსია, რომ ზეიდანი სწორედ ამ დაჯგუფების გატაცებულია.

– ეს ვერსია დადასტურდა, – იტყობინება „გერმანული ტალღა“.

მალე ლიბიის პრემიერი გაათავისუფლეს, ხოლო მისი გამტაცებლები დააკავეს. თავის ტელეინტერვიუში ზეიდანმა აღნიშნა, რომ ტყვეობაში მას კორექტულად ეპყრობოდნენ.

– ისინი მხოლოდ ჩემს გადადგომას მოითხოვდნენ, – განაცხადა ზეიდანმა.

რატომ გაიტაცეს პრემიერი, ვინ იდგა ბანდიტების უკან? ამის თაობაზე მრავალი ვერსია გამოითქმის. დღესდღეობით ყველაზე დამაჯერებლად „ისლამისტური კვალი“ ჟღერს. ზეიდანმა ამერიკელებს ალ-ქაიდას აქტივისტის გატაცებაში დიდი დახმარება აღმოუჩინა და ისლამისტებმა ამის გამო შურისძიება გადაწყვიტეს. ამავე დროს, სხვა ვერსიებიც გამოითქმება.

ამრიგად, ლიბიის პრემიერი თავისუფალია. გადადგება თუ არა ზეიდანი? შეძლებს თუ არა გამოძიება, დაადგინოს, კონკრეტულად რა ძალები იდგნენ პრემიერის გატაცების უკან? ამ კითხვებს დღეს ბევრი სვამს. უდავოა მხოლოდ ერთი: ლიბიაში ქაოსია და სიუჟეტები ტრილერის სტილში აქ კიდევ არაერთხელ გათამაშდება.

**ნიკა თევზაძე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ზმნის წარსული დრო გრამატიკაში; 2. ფინეთის მეორე სახელწოდება; 3. მზის გარშემო მოძრავი ციური სხეული; 4. თაფლის დასაგროვებელი სიმეტრიული, ცვილის უჯრედები სკაში; 5. სოფლის ორღობე; 6. კვიპროსის დედაქალაქი; 9. ქართველი პოლიტიკოსი ქალი; 10. საერთაშორისო ბაზარზე გატანილი პირველი ქართული მშრალი სამარკო ღვინო, იწარმოება 1886 წლიდან; 11. იტალიაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების კალათბურთელი; 14. სვლის მიმართულება; 16. პროფესიონალი მომღერალი, მოცეკვავე, გამრთობი ქალი იაპონურ საჩაიეში; 18. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 20. ქონება, სიმდიდრე; 23. საჭმლის საჭმელი იაპონური ხის ჩხირები; 24. ამერიკელ ზანგთა სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 25. წიწვოვან ხეებზე ბინადარი მღრღნელი ცხოველი; 26. ბატკნის მოგების დრო.

**თარაზულად**: 7. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 8. გარკვეულ არეალში გავრცელებული ერთი სახის მცენარეთა ერთობლიობა; 12. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 13. წყალში ბინადარი ცხოველი; 15. მარცვლეულის, ფქვილის ვაჭარი ძველად; 17. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 19. ქვებზე, ხეებზე მზარდი უფესვო სპოროვანი მცენარე; 21. 70-იანი წლების ქართული საესტრადო-ვოკალური კვარტეტი; 22. რაიმეს ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა; 27. დანიელი მეზღაპრე; 28. საწყალოსნო სპორტული თამაში.

**შეადგინა თ. კოპალეიშვილმა**



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. „იკაო“; 2. ნიყვი; 3. უჯარმა; 5. „ზვარე“; 6. ლიმუზინი; 8. იქთიოლოგია; 10. ოგინსკი; 12. დელფინი; 14. ალგეთი; 15. სუმიდა; 16. დიანა.

**თარაზულად**: 1. იადონი; 4. „იზაბელა“; 7. ჯოყოლა; 9. მოხერი; 11. ათაბაგი; 12. დოლომანი; 13. ანხელი; 17. მალიბუ; 18. აგრა; 19. ინანთეული; 20. „კავასაკი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. დალალი; 2. გრეგორი; 3. ბაზალეთი; 4. მუშტაიდი; 8. ბურჭულაძე; 9. მარმელადი; 11. სპეტაკი; 12. გეტა; 14. ორბი; 16. „სიტროენი“; 17. ფოლკლორი; 19. ქაბული; 21. სირჩა.

**თარაზულად**: 5. ნატამალი; 6. დელაკრუა; 7. პოლიგლოტი; 10. ბეშუმი; 13. ტირადა; 15. სტატორი; 18. სირაჯი; 20. პუდელი; 22. ლიბერტინი; 23. ენდშპილი; 24. ეჩხაბერი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 ოქტომბერი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6622 |
| ევრო | 2,2475 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6557 |
| 100 რუსული რუბლი | 5,1363 |

**ამინდის პროგნოზი 12 ოქტომბრისთვის**





# მალე!

## ქართული დეტექტივი

ტომი 3

იორამ ჩადუნელი

საზღაური

უკვე გამოსულია

ტომი 1 ........................ მგლის ბილიკი

ტომი 2 ........................ შავი ვარდი

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები





15 ოქტომბრიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ტომი 4

ფრანგული ზღაპრები

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა



20 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები



24 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები



27 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები


## ბრაიან ნილსენი ქუთაისს სტუმრობდა



ქუთაისის „ტორპედოს“ ვებგვერდის ცნობით, ქუთაისს საკმაოდ საპატიო სტუმარი, დანიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი (66 მატჩი, 3 გოლი) ბრაიან სტინ ნილსენი ეწვია. იგი საკლუბო დონეზე: თურქულ „ფენერბაჰჩეში“, დანიურ „ვეჟლესა“ და „ოდენსეში“, იაპონურ „ურავაში“ და შვედურ „მალმიოში“ ასპარეზობდა.

ნილსენი ამჟამად დანიური „ორჰუსის“ სპორტული დირექტორი გახლავთ, შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში ქართველი ფეხბურთელები: დავით დევდარიანი, დავით სხირტლაძე და მათე ვაწაძე გამოდიან. ბრაიანი „ტორპედოს“ ვარჯიშსაც დაესწრო, რის შემდეგ კომენტარიც გააკეთა.

ბრაიან ნილსენი:

– ძალიან მომეწონა თქვენი სამუშაო პროექტი, ვარჯიშს ვუყურე და ვიტყოდი, რომ „ტორპედო“ პერსპექტიული გუნდია, რომელიც დღითიდღე გაიზრდება და თანდათან უფრო მეტად გაძლიერდება. ასევე, შესანიშნავი მთავარი მწვრთნელი გყავთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია გუნდისთვის. საქართველოს კვალობაზე კარგი პირობები გაქვთ და მომავალში დიდ წარმატებებს გისურვებთ.

აღსანიშნავია, რომ წელს დანიურ ჩემპიონატში მოღვაწე უკვე მეორე პიროვნების ვიზიტია „ტორპედოში“, ნილსენამდე ქუთაისურ გუნდს საფეხბურთო კლუბ „ვიბორგის“ სპორტული დირექტორი მორტენ იენსენიც სტუმრობდა.

## სნოუდენის მამა: ჩემი შვილი ნობელის პრემიას იმსახურებს

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის ედვარდ სნოუდენის მამამ, რომელიც ცოტა ხნის წინ მოსკოვში ჩავიდა, რეპორტიორებს განუცხადა, რომ მისი შვილი ნობელის მშვიდობის პრემიას იმსახურებს.

როგორც ცნობილია, ევროპის პარლამენტის წევრებმა სექტემბერში სნოუდენი ანდრეი სახაროვის პრემიაზე წარადგინეს. ეს პრიზი ხუთშაბათს პაკისტანელმა გოგონამ მალალა იუსაფზაიმ მიიღო.

შვილის სანახავად მოსკოვში ლეონ სნოუდენი ხუთშაბათს ჩაფრინდა. მან მოსკოვის აეროპორტში განაცხადა, რომ იმედი აქვს, რომ რუსეთში ყოფნის განმავლობაში შვილის ნახვის საშუალება მიეცემა:

„ვერაფერს გეტყვით ჩემი შვილის ნაცვლად და ვერ ვისაუბრებ იურიდიულ საკითხებზე. მე მამა ვარ და არ მსურს ჩემი მოსაზრებების გაგიზიაროთ. უბრალოდ ძალიან მადლიერი ვარ იმით, რომ ჩემი შვილი დაცული და თავისუფალია“.

ლონ სნოუდენს აეროპორტში ედუარდის იურისტი ანატოლი კუჩერანა დახვდა. შეგახსენებთ, რომ ამერიკის სადაზვერვო სამსახურების საიდუმლო პროგრამის გამჟღავნების შემდეგ სნოუდენი მოსკოვში, შერემეტიევოს აეროპორტის სატრანზიტო ზონაში იმყოფებოდა. რუსეთმა მას დროებითი თავშესაფარი აგვისტოში მიანიჭა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**



## ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია გახდა



ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია გახდა. ინფორმაციას ამის შესახებ „როიტერი“ ავრცელებს.

„ნორვეგიის ნობელის კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ 2013 წლის ნობელის მშვიდობის პრემია ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას, სირიაში ქიმიური იარაღის განადგურებასთან დაკავშირებით წარმებული სამუშაოების გამო მიენიჭოს“,-განაცხადა ოსლოში გამართულ პრესკონფერენციაზე კომიტეტის ხელმძღვანელმა ტუბერნ იაგლანდმა.

„როიტერის“ ინფორმაციით, ორგანიზაცია დამოუკიდებელი ერთეულია, რომელიც გაეროსთან თანამშრომლობს და სირიაში ქიმიური იარაღის განადგურებას აკვირდება.

ორგანიზაცია ჰააგაში მდებარეობს და მასში 189 სახელმწიფოა გაერთიანებული. ის პასუხისმგებელია ქიმიური იარაღის იმ კონვენციის განხორციელებაზე, რომელიც კრძალავს ქიმიური იარაღის განვითარებას, წარმოებას, შეძენას, შენახვას, გადაცემასა და გამოყენებას.

ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას გამარჯვებისთვის 1,25 მილიონი დოლარი დაჯილდოების ცერემონიაზე ოსლოში, 10 დეკემბერს ალფრედ ნობელის გარდაცვალების დღეს გადაეცემა. გასულ წელს ნობელის პრემია ევროკავშირს გადაეცა.

## კროსვორდი ა



შვეულად: 1. სიცილიური, ტკბილი სადესერტო ღვინო; 2. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 3. გეომეტრიული ფიგურა; 4. პატარა ხუჭუჭთმიანი დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 5. ქართული ხალხური ცეკვა; 8. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 9. მართლმადიდებელთა წმინდა წიგნი; 12. სამხრეთ აფრიკელი ქირურგი, რომელმაც პირველმა განახორციელა გულის გადანერგვის წარმატებული ოპერაცია; 13. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 16. სასტუმრო გაგრაში; 17. „ბარსელონა“-ს დამფუძნებელი; 19. უძველესი აკადემია კახეთში; 20. საცხოვრებელი სახლზე მიშენებული ღია აივანი.

თარაზულად: 6. ექიმბაშის ძველი ქართული სახელწოდება; 7. დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელი; 8. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ფაიფურის წარმოებაში გამოყენებული თეთრი, ცეცხლგამძლე თიხა; 11. ძველებური, დაბალყელიანი რბილი ტყავის ფეხსაცმელი; 14. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 15. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 18. ძველი სპარსელი პოეტი; 21. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 22. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 23. ამერიკის კინოაკადემიის პრიზი; 24. ქართველი პიანისტი ქალი.

**შეადგინა თ. გოგინაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

### 12 ოქტომბერი – მშვენიერი დღეა

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **კირჩხიბი** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** – ახალ ბიზნესს წამოიწყებთ, ფული გექნებათ. **ქალწული** – დღეს ნურავის ენდობით, საკუთარ თავს დაეყრდენით. **სასწორი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ღრიანკალი** – ყურადღების ცენტრში ხართ და ეს მოგწონთ. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება და თქვენთვის რაღაც მოაქვს. **თხის რქა** – მშვენიერი დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **მერწყული** – თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს. **თევზები** – სახლში სიახლეა, თავს ბედნიერად იგრძნობთ.

### 13 ოქტომბერი – წარმატებული დღეა

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** – სახლში კარგი ახალი ამბავი გელით. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** – გააქტიურდით, თორემ სიყვარული გაგიფრინდებათ. **ლომი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** – ახალ ბიზნესს წამოიწყებთ, გახარებული ხართ. **სასწორი** – ნურავის ენდობით, საკუთარ თავს დაუჯერეთ. **ღრიანკალი** – ფული გაქვთ, არაფერი გაწუხებთ. **მშვილდოსანი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, არ გადაიღალოთ. **თხის რქა** – გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის ახალი ამბავი ჩამოაქვს. **მერწყული** – უფულობის პრობლემას მალე მოევლება, დამშვიდდებით. **თევზები** – სახლში კარგად ხართ, საქმეებიც მშვენივრად მიდის.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!